საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 109-110 (655)
პარასკევი, 28 მაისი, 1993 წელი.
ფასი 20 კუპონი.

წუხელ შეიტყვეთ

აფხაზეთიდან გვატყობინებენ

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 26 მაისს დილიდან მდინარე გუმისთაზე განლაგებული ფრონტის ხაზზე ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 19 საათსა და 45 წუთიდან მოწინააღმდეგე გააქტიურდა და ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნა ქართულ პოზიციებს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლს არ უპასუხეს.

რამდენიმე დღეა, რაც აფხაზური მხარე აქტიურად აწარმოებს გათხრით სამუშაოებს და ამაგრებს თავის პოზიციებს.

ოჩამჩირის რაიონში რაიმე გარდატეხას ადგილი არ ჰქონია. დაპირისპირებული მხარეები ინარჩუნებენ ძველ პოზიციებს.

იოსებ გოგეჩია.

* * *

გუშინ ოჩამჩირის რაიონში ფრონტის ყველა უბანზე არ მიმდინარეობდა სროლა. თუმცა, კვლავ აღინიშნა დივერსანტების მორიგი მავნებლობა, რომლებმაც, როგორც საქინფორმის კორესპონდენტი იუწყება, სოფელ ტამიშის მახლობლად კვლავ დააზიანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. ამ დივერსიული აქტის შედეგად ელექტროენერგიას ვეღარ აწვდიან რაიონულ ცენტრს, მახლობლად მდებარე სოფლებს.

●

ცნობა ლონდონიდან

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში დამთავრდა საქართველოს დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც მეთაურობდა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

დელეგაცია მიიწვიეს ინგლისის პარლამენტში, სადაც ლორდთა პალატის დეპუტატთა წინაშე სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა ა. აბაშიძემ.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრაზე მისმა მეთაურმა ბატონმა ჰოგსმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ინგლისსა და საქართველოს შორის მეცნიერების და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ.

გაიმართა აგრეთვე შეხვედრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტთან ჟაკ ატალისთან. საუბარი შეეხო საქართველოსათვის კრედიტების გამოყოფას. აღინიშნა, რომ ინგლისის კომპანია „სუპერს ენდ ლაბირენდზი" ამზადებს პროექტებს აჭარისათვის. ასლან აბაშიძის თხოვნით მათი რეალიზაციის მისია იკისრა ლორდმა ფეიერ ფაქსმა, რომელმაც გამოთქვა სურვილი გახდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი ინგლისში.

საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა ჰოლანდიაში, სადაც დაგეგმილია შეხვედრები საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

თამაზ გენძეხაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

პური და იარაღი

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

ორი სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს პარლამენტის გუშინდელი სხდომის შინაარსი. მიმდევრობა შეიცვალა მხოლოდ: ჯერ იარაღზე („მაშველთა კორპუსისათვის" სტატუსის მინიჭება) იყო საუბარი, შემდეგ — პურზე (კუპონების პრობლემა).

ამ სხდომის დასაწყისი მართლაც მეტად არაორდინარული იყო. დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ დღის წესრიგის პირველ საკითხზე — „ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და კუპონების მიმოქცევის შესახებ", რომელზეც მოხსენებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თემურ დვალიშვილი უნდა გამოსულიყო, მსჯელობას აზრი არა აქვს, თუ დარბაზში არ იქნება ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე, რადგან ამ საკითხებზე უშუალო პასუხისმგებელი ის არის.

— მეორე საკითხზე — „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წინაშე მდგომი პოლიტიკური პრობლემები და მათი მოგვარების გზები" ვერ იმსჯელებდნენ, რადგან მომხსენებელმა ბატონმა ვანო ხუხუნაიშვილმა „ეროვნულ-დემოკრატთა" ფრაქციის სახელით ჯერ კიდევ წინა სხდომაზე გამოაცხადა — განხილვას აზრი არ ექნება, თუ დარბაზში არ იქნებიან სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერი.

მესამე საკითხს არავითარი გართულება არ გამოუწვევია, გარდა ერთისა... მომხსენებელი ბატონი ვახტანგ ძაბირაძე სხდომაზე არ იყო (რაკი სიტყვამ მოიტანა: ამ ბოლო ხანებში აშკარა ტენდენცია გამოიკვეთა — შედარებით მსხვილ პარტიათა ლიდერები პარლამენტს დასწრებით ნაკლებ ანებივრებენ).

როგორც იქნა, დღის წესრიგში შეტანილ საკითხს — „საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ" სახელმწიფოს მეთაურის გარეშე განხილვა არ ეწერა.

ამასობაში ბატონმა ჯაბა იოსელიანმა თავად მიიღო გადაწყვეტილება — ტრიბუნაზე ავიდა, წინა დღეებში დაწყებული საკითხის განხილვა გააგრძელა: ბოლოს და ბოლოს, რაიმე საქმე ბოლომდე ხომ უნდა მივიყვანოთ, „მაშველთა კორპუსის" პრობლემას ორი სხდომა მივუძღვენით და დღეს, მესამე სხდომაზე მაინც ვუყაროთ კენჭი. მით უმეტეს, რომ „მაშველთა კორპუსი", როგორც ორგანიზაცია, თქვენივე ნებით არსებობს, ახლა საუბარია მხოლოდ მის სტატუსზეო.

ამაოდ ვარაუდობდა ბატონი ჯაბა, რომ ამ საკითხზე კამათი მოლეული იყო („ლინგვისტური ანალიზიც კი გაკეთებული გვქონო") და დეპუტატები კენჭისყრას მიადგებოდნენ.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ ამ სტრუქტურის დამტკიცებაში ერთიანი არმიის პარალელურად სხვა შეიარაღებული ფორმირების დაკანონება და არც მეტი, არც ნაკლები — მომავალი სახელმწიფოებრიობის საფუძვლის მოშლის საშიშროება დაინახა.

ერთმა დეპუტატმა უსაყვედურა ბატონ ჯაბას, აგრე თუ გიყვართ თქვენი ქვეყანა, ასეთ სიძნელეს რად უქმნითო. სხვებმა, პირიქით, მხარი დაუჭირეს ორგანიზაციას — სტატუსი უნდა დაუმტკიცდესო.

აქ პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ განაცხადა, არ მესმის ღია კარს რად ამტვრევთ, როდესაც ორი დღის წინათ, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით, თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა „საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის" განყოფილება და ამ დარგში მინისტრის მოადგილეც დანიშნულიაო,

ისევ პარალელიზმი?

ირაკლი წერეთელმა ამ ფაქტში პარლამენტის დასუსტების ცდა დაინახა, ხოლო გაუთავებელი დებატების მიზეზად თვით პრობლემის არსი კი არა, თავად ბატონი ჯაბა იოსელიანის პიროვნების და „მხედრიონის" ზოგიერთი წევრის მიმართ უნდობლობა დაინახა.

დასასრულ ბატონმა ჯაბამ განაცხადა, საკითხის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია, მე კი ჩემი მხრით უყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნიო.

პარლამენტმა დაიწყო დღესდღეობით ერთ-ერთი უმწვავესი და უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხის— ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და კუპონების მიმოქცევის პრობლემის განხილვა. განხილვას ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე დაესწრო.

მოულოდნელი გადახვევა

საღამოს სხდომაზე, როდესაც პარლამენტმა კუპონების პრობლემაზე საუბარი გააგრძელა, ადა მარშანიამ მიკროფონთან განაცხადა, რომ ოპერის თეატრის გვერდით „მხედრიონმა" საპროტესტო აქცია წამოიწყო — შიმშილობენო.

ცოტა ხნის შემდეგ სახელმწიფოს მეთაური და ქალაქის მერი ახლად დაცემული კარვისკენ (დიდი ხანია აღარ გვინახავს ქალაქში კარვები) გაემართნენ.

სამწუხაროდ, მე და ჩემი კოლეგები მოსაუბრეებს იმდენად ვერ მივუახლოვდით, რომ კონკრეტულად საუბრის შინაარსი გაგვეგო. შიგადაშიგ ისმოდა: „ამდენი ხანია, რით ვერ გადაწყდა ის საკითხი", „კიდევ დავჯდეთ, ვილაპარაკოთ, უსაშველო არაფერია". თუმცაღა წვიმდა, ინტერესი „მოლაპარაკებისადმი" ძალზე დიდი იყო. ოპერის გვერდით, ბაღში ბევრ ცნობისმოყვარეს მოეყარა თავი. ჩვენი აზრით, მოლაპარაკება არც თუ შედეგიანად დამთავრდა, რადგან სახელმწიფოს მეთაური და ქალაქის მერი სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ, ხოლო „მხედრიონი" ადგილზე დარჩა.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ალბათ ოფიციალური წყაროებით შევიტყობთ.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

კეთილმეზობლობა

საქართველო და ირანი თანამშრომლობენ

თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი აქბარ ველაიათი

საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი აქბარ ველაიათის ოფიციალური ვიზიტი რესპუბლიკაში. 27 მაისს თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარს დახვდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, სხვა ოფიციალური პირნი. დამხვდურთა შორის იყო ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფერეიდუნ ჰაკბინი.

ეს არის საქართველოში ირანის პოლიტიკური უწყების მეთაურის პირველი ოფიციალური ვიზიტი ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ამა წლის იანვარში თეირანში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ. ეს მოვლენები, აგრეთვე თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს გახსნა, თვისებრივად ახალი ეტაპი იყო ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიაში.

საპატიო სტუმრისათვის გამოყოფილ რეზიდენციაში ხანმოკლე დასვენების შემდეგ იგი შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს.

პირისპირ საუბრის შემდეგ გაიმართა სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა ირანის დელეგაციის წევრებთან.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან მჭიდრო საქმიან და მეგობრულ ურთიერთობას. მან თქვა, რომ საუბარმა ბატონ ალი აქბარ ველაიათთან, წინა საუბრებმა ირანის ხელმძღვანელებთან ცხადყო, რომ სრული ურთიერთგაგებაა ორ ქვეყანას შორის, რომ ერთნაირი ინტერესები აქვთ და პატივს სცემენ, ესწრაფვიან გააფართოონ თანამშრომლობა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი მთავრობის სახელით მიულოცა საქართველოს ხალხს ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ბატონმა ველაიათიმ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტმა ირანში მძლავრი იმპულსი მისცა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას. „სწორედ ამ ფაქტის გამოძახილი იყო თბილისში ირანის საელჩოს გახსნა"— ბრძანა საგარეო საქმეთა მინისტრმა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების უდიდეს მნიშვნელობას. ითქვა, რომ ორივე ქვეყანა დაინტერესებულია თანამშრომლობისა და უსაფრთხოების როგორც ორმხრივი, ისე რეგიონული სისტემის შექმნაში. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ფაქტორი უნდა გახდეს პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მთავარი მექანიზმი.

— ჩვენი ერთიანობა, — თქვა მან, — კავკასიაში ძალთა ბალანსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის საფუძველია. ირანი მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს საზღვრების განუყოფლობისა და ხელშეუხებლობის პრინციპს. ირანის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ოთხმხრივი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ამიერკავკასიის რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიებას.

საქართველოსა და ირანს შორის თეირანში ხელმოწერილი შეთანხმებათა რეალიზაციის მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ კერვალიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მისი საქმიანობა.

აღინიშნა, რომ უკვე საგრძნობი შედეგები გამოიკვეთა საქართველოს და ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში — კერძოდ, ჩაის, ნავთობგაზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო კავშირებისა და სხვა დარგებში თანამშრომლობის საქმეში. ითქვა, რომ საქართველო მზად არის მისი საჭირო პროდუქციის ნაცვლად, ირანს ყოველწლიურად ორასი ათასი ტონა მინერალური საწვავი და სხვა ნაწარმი მიაწოდოს.

ირანის მხარემ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა საქართველოს ინიციატივა, ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში ირანის ჩართვის შესახებ. ითქვა, რომ თბილისში უმოკლეს ხანში, შეიქმნება ევრო-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც ირანის ისლამურ რესპუბლიკას თავისი წარმომადგენელი ეყოლება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე თამაზ გამყრელიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

●

27 მაისს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე შეხვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალი აქბარ ველაიათის, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საქართველოში.

მინისტრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პროცესი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ამა წლის იანვარში ირანში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის დროს, როცა ხელი მოაწერეს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებათა დიდ პაკეტს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

• • •

სურათზე: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი აქბარ ველაიათის შეხვედრის დროს.

ბიჭი კიკვაძის ფოტო (საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოქრონიკა).

წაიღეს 25 შეთანხმების პროექტები

პეკინს გაფრინდა საქართველოს სახელმწიფო დელეგაცია, რომელმაც უნდა მოამზადოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი, რომელიც 2-4 ივნისისათვის არის დანიშნული. დელეგაციაში შედიან სახელმწიფოს მეთაურის აპარატის, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ტრანსპორტისა და საბაჟოს დარგის ექსპერტები.

როგორც აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს იური გოლდმანს დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ, მის პორტფელშია 25 შეთანხმების პროექტები, რომლებიც საქართველოს მხარემ მოამზადა ჩინეთში ბატონ შევარდნაძის ვიზიტის დროს ხელმოსაწერად, მათ შორის არის ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი კომუნიკე, ორი ქვეყნის მთავრობათა შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ინვესტიციების განხორციელებისა და დაცვის ხელშეწყობის, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეფორმის ტექნიკური ხელშეწყობის გაწევაში, ტრანსპორტის, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, საბაჟოს, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შესახებ და სხვ. მომზადებულია აგრეთვე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს, ეროვნულ ბანკებს, მეცნიერებათა აკადემიებს შორის კონტაქტების შესახებ შეთანხმებების, საზღვაო შეთანხმების პროექტები და სხვა დოკუმენტები.

რწმუნების სიგელის გადაცემა

საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა რწმუნების სიგელი გადასცა რუსეთის პრეზიდენტს. ამ ცერემონიალის დროს ბორის ელცინმა საქართველოს ელჩს რუსეთში ვალერიან ადვაძეს უთხრა: — დღეს, როცა რუსეთსა და საქართველოში ურთულესი პოლიტიკური სიტუაციაა, მიმაჩნია, რომ თქვენი პიროვნება საუკეთესო არჩევანია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის. თქვენ, როგორც გამჭრიახი პოლიტიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, დარწმუნებული ვარ რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის ღირსეულად გასაგრძელებლად გადადგამთ ბევრ საჭირო და სასარგებლო ნაბიჯს. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ მე და თქვენ, როგორც დიდი ხნის მეგობრები, შეთანხმებულად ვიმუშავებთ ჩვენი ორი ქვეყნის ბედნიერი მომავლისათვის.

რუსეთში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს პრესცენტრი.

ცვლილებები არმიის ცხოვრებაში

საქართველოს ერთიანი შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის კონცეფციის თანახმად, მათი სტრუქტურების გაუმჯობესების მიზნით, შეიარაღებული ძალების ერთიანი მართვისა და საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გაუქმდა სწრაფი რეაგირების კორპუსი (ეროვნული გვარდია) და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა პირველი საარმიო კორპუსი, რომელიც დაექვემდებარება თავდაცვის სამინისტროს.

პირველ საარმიო კორპუსში გაერთიანდება მე-11 მოტომსროლელთა ბრიგადა და ყოფილი სწრაფი რეაგირების კორპუსის აღმოსავლეთ საქართველოში დისლოცირებული ნაწილები, პირადი შემადგენლობის ნაწილს გამოიყენებენ მეორე საარმიო კორპუსის დასაკომპლექტებლად. პირველი საარმიო კორპუსის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი ა. ბარბაქაძე.

კორპუსის ფორმირება დაიწყო.

საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ სახელმოხვეჭილი შენაერთებისა და სამხედრო ნაწილების წახალისებლად, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოამჟღავნეს მაღალი ორგანიზებულობა, სულის მხნეობა, მტკიცე მხედრული დისციპლინა და ღირსება, დაწესდა გვარდიული შენაერთებისა და ნაწილების წოდება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გვარდიის საპატიო წოდება მიენიჭათ საჩხერისა და ტყიბულის ბატალიონებს, შვეულმფრენთა პოლკს. ამიერიდან საჩხერის ბატალიონი იწოდება ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის გვარდიულ ბატალიონად, ტყიბულის ბატალიონი — გელა გიორგაძის სახელობის ტყიბულის გვარდიულ ბატალიონად, შვეულმფრენთა პოლკი კი — ჯიმი მანსურაძის სახელობის შვეულმფრენთა გვარდიულ პოლკად.

ნაწილების პირად შემადგენლობას გამოეცხადათ მადლობა.

• • •

აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით ქ. სოხუმში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-საგეგმო სამმართველოს საპენსიო განყოფილების ფილიალი.

ფილიალი განლაგდება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ სამხედრო დასასვენებელი სახლის ერთ-ერთ კორპუსში, სადაც განთავსებული იყო რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

სამხედრო მოსამსახურეთა შორის დისციპლინის, წესრიგის და ორგანიზებულობის განმტკიცების, სამხედრო ობიექტების დაცვის, საგარნიზონო ნაწილების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მისაღწევად და ადგილობრივი მართვის ორგანოებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კორპუსებისა და ბრიგადების მეთაურებმა საყარაულო სამსახურის წესდების შესაბამისად უნდა დანიშნონ გარნიზონების უფროსები და გარნიზონების კომენდანტები საჯარისო ნაწილების დისლოკაციის ადგილებში და დაადგინონ იმ ტერიტორიის საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ხდება საგარნიზონო სამსახურის ფორმირება....

თბილისის, სოხუმისა და ბათუმის გარნიზონების უფროსები დაექვემდებარნენ უშუალოდ თავდაცვის მინისტრს, დანარჩენი გარნიზონების უფროსები კი შესაბამისად — კორპუსებისა და ბრიგადების მეთაურებს.

თავდაცვის მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს გარნიზონების უფროსებისა და კომენდანტების უფლება-მოვალეობებს, რითაც დარეგულირდება მათი და ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების ურთიერთობა.

ცალკეულ ბატალიონებსა თუ დივიზიონებში გარნიზონის კომენდანტის მოვალეობას შეასრულებს ერთ-ერთი ოფიცერი.

კატეგორიულადაა აკრძალული სამხედრო-მოსამსახურეთა იარაღით გასვლა სამხედრო ნაწილების ტერიტორიიდან, განხორციელებულია, აგრეთვე, რიგი ღონისძიებანი სამხედრო ფორმის ტარების, მხედრული თავაზიანობის, მისალმების წესების და სამხედრო დისციპლინის სხვა ნორმების შესახებ, რომელთა დაცვაზეც პირადად აგებენ პასუხს გარნიზონების უფროსები და კომენდანტები.

ნომერში

⊙ თავის მოსაწამლავად მიაკითხეს საზქვების ობიექტებს. 2
⊙ გიორგი კორსაველი და პარტრაიკომის კულტპროფი. 8

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს!

გილოცავთ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მცდელობით ორი ქვეყანა — ირანი და საქართველო ფართო ნაბიჯებს გადადგამს სასარგებლო თანამშრომლობის გაფართოებისაკენ, რომელიც ბედნიერების მომტანი იქნება, როგორც ჩვენი ხალხისათვის, ასევე მთელი რეგიონისათვის.

თქვენ, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველ ერს ვუსურვებ წარმატებასა და ბედნიერებას.

ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი,
ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ნუგზარ კვაჭაძის ადგილმონაცვლის თამაზ ობგაძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 25 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის საქმიანობის სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მოსახლეობის დასაქმების სისტემისათვის მტკიცე ფინანსური და ორგანიზაციული საფუძვლის შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

დამტკიცდეს 1993 წლისათვის „მოსახლეობის დასაქმების სოციალური გარანტიების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 10 ივნისის 474 დადგენილებით გათვალისწინებული საწარმოებისა და ორგანიზაციების სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ნორმატივი საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში 3,0 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების დაყვანა საქვეუწყებო რგოლებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი, 1993 წლის 24 მაისი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

დაინტერესდნენ ევროპა-აზიის დერეფნის პერსპექტივით

27 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა შეხვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალი აქბარ ველაიათის.

განიხილეს საქართველოსა და ირანის რესპუბლიკას შორის სხვადასხვა სახის ფართო სპექტრის ურთიერთობები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს.

საუბრისას შეეხნენ ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის რეკონსტრუქციის საკითხს, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია გააკეთა ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა. ბატონმა ველაიათიმ განაცხადა, რომ ეს დერეფანი დიდ სამსახურს გაუწევს ირანის ისლამურ რესპუბლიკასაც და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განმტკიცებაში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური

26 მაისი ბათუმში

26 მაისს აჭარის დედაქალაქის ქუჩები გადაიქცა დიდ სცენად, სადაც თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ჩამოსული მომღერლები და მოცეკვავეები.

...თავისუფლების მოედანზე მოვიდნენ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს ბათუმის დამცველთა საფლავები. შემდეგ საზეიმო მსვლელობა გაემართა ხეივნისაკენ — „9 აპრილის ცრემლები". მსვლელობის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თბილისში მომხდარი ტრაგედიის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას.

დღესასწაულისათვის ხელი არ შეუშლია წვიმას.

უკანასკნელ საათს

შიმშილობის აქცია გაგრძელდება თუ...

როგორც ბატონმა ჯაბა იოსელიანმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, აქციის მონაწილეები მოითხოვენ პარლამენტის მიერვე მიღებული დადგენილების შესრულებას და მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში მაშველთა კორპუსის დამტკიცებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობის აქცია გაგრძელდება.

როგორც წუხელ გახდა ცნობილი, დღეს, 13 საათზე პარლამენტი სპეციალურად იმსჯელებს ამ საკითხზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა კომისია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თემურ შალვას ძე ნაცვლიშვილის დაკრძალვის მოსაწყობად ა. გოგილიას (კომისიის თავმჯდომარე), რ. ამაშუკელის, თ. ბადურაშვილის, მ. კოკოჩაშვილის, ნ. რუხაძის, ი. ხელაშვილის შემადგენლობით.

თ. შ. ნაცვლიშვილი დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თ. შ. ნაცვლიშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

დამკრძალავი კომისიისაგან

თ. შ. ნაცვლიშვილის პანაშვიდი გაიმართება ამა წლის 30-31 მაისს, 4 საათზე. გამოსვენება 1 ივნისს, 3 სთ-ზე, განსვენებულის ბინიდან, ბაქრაძის 8.

ახალი ლაურეატები

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გამოქვეყნდა პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის და პრემიერ-მინისტრის თ. სიგუას ერთობლივი განკარგულება 1993 წლის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ.

ამრიგად, სამი წლის იძულებითი პაუზის შემდეგ, რაც რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური კრიზისით იყო გამოწვეული, ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო ჯილდოებით აღინიშნა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ჰუმანიტარული დარგების ექვსი ნაშრომი და ორი სახელმძღვანელო.

ეს ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისა და იმის დასტურია, რომ ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული ერის ერთ-ერთი უძვირფასესი განძის — მისი ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობა ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების პირობებშიც კი.

განვლილმა კონკურსმა წარმოაჩინა, რომ ექსპერიმენტებისთვის საჭირო დანადგარებისა და მასალების მწვავე ნაკლებობის, შორეული და ახლო საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ადრე არსებული შემოქმედებითი კონტაქტების რღვევისა და მრავალი ყოფითი პრობლემის მიუხედავად ქართველი მეცნიერები რესპუბლიკის სამეცნიერო ლაბორატორიებში მაინც ატარებენ საინტერესო თეორიულ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებს, რომლებიც, როგორც მეთოდოლოგიის, ასევე შედეგების მიხედვით არ ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყველა დარგის გამოჩენილი სწავლულები არიან, პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი იყო 37 ნაშრომი: 16 — საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, 4— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და 10 — ტექნიკის დარგში, აგრეთვე 7 სახელმძღვანელო.

ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ნაშრომების განხილვა კომიტეტის დარგობრივ სექციებში და მათი საექსპერტო შესწავლა მოწვეული სპეციალისტების მიერ. მათი დასკვნების გათვალისწინებით კომიტეტმა საერთო სხდომაზე ფარული კენჭისყრით უპირატესობა მიანიჭა და რესპუბლიკის ხელისუფლებას დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი გამოკვლევები:

შრომათა ციკლი: **„არაორგანული ნივთიერებების თერმოდინამიკა და მისი მეტალურგიაში გამოყენების ზოგიერთი ასპექტი“**, ავტორები: ი. ბარათაშვილი, გ. გველესიანი, ა. ნადირაძე, გ. ჩაჩანიძე, დ. ცაგარეიშვილი. ეს უაღრესად საინტერესო და ღრმა ნაშრომი ბევრ აქტუალურ პრობლემას ახალი, ორიგინალური კუთხით განიხილავს, ამასთან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ატლასი: **„საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები“**. იგი ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტების სპეციალისტების კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს, პრემია კი ექვს ძირითად ავტორს ნ. ზატიაშვილს, მ. უშვერიძეს, ე. კობახიძეს, ნ. გონგლაძეს, ტ. ჩიჩუასა და ვ. ჯალიაშვილს მიენიჭათ. ატლასი შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიის, ბუნებრივი პირობებისა და მოსახლეობის, საკურორტო-კლიმატური რესურსების, ჰიდრომინერალური რესურსების, კურორტების და საკურორტო ადგილების, ტურიზმისა და დასვენების ობიექტების, საკურორტო-რეკრეაციული რაიონების, საკურორტო საქმისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივის შესახებ. ატლასი წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს, რომელსაც არა აქვს ანალოგი კურორტოლოგიურ ლიტერატურაში.

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ მე-5 რეგიონი. ეს წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომს საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის — შიდა ქართლის დაბლობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესახებ. მის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალისტები, ხოლო პრემია მიენიჭათ წიგნის რედკოლეგიის ექვს წევრს, რომელთაც ყველაზე მეტი დამსახურება მიუძღვით ნაშრომის შექმნაში. ესენი არიან: ს. კინწურაშვილი, ნ. ასათიანი, თ. დვალი, ვ. დოლიძე (გარდაცვალების შემდეგ), გ. ცქიტიშვილი, უ. სიდამონიძე.

გამოკვლეული, ფიქსირებული და აღწერილია რეგიონში არსებული ყველა სახის ცნობილი და ახლად აღმოჩენილი 2000-მდე ძეგლი. სტატიები შეიცავენ რაიონებზე და ცალკეულ ძეგლებზე არსებულ სრულ დოკუმენტაციას. სტატიებს ერთვის ვრცელი საილუსტრაციო მასალა და დამხმარე სამეცნიერო აპარატი-დანართები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი სახის გამოცემებისათვის. ნაშრომი ეტალონად გამოდგება მომავალში სხვა რეგიონებისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემისას, იგი დიდი შენაძენია ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.

უნდა ვიცნობდეთ

მონოგრაფია: **„ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება მოღვაწეობა, შემოქმედება“**, ორ ტომად. ავტორია გ. შარაძე. ნაშრომის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს ავტორის მიერ საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში მოძიებული უმდიდრესი იკონოგრაფიული თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მასალა (2599 ფოტოსურათი და დოკუმენტი), რომელიც პირველად არის ასე თავმოყრილი და გაანალიზებული ილიას ცხოვრების შესაბამისი პერიოდების დასასურათებლად. ასევე სრულადაა წარმოდგენილი დიდი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა გამოკვლევის ტექსტში. გამოვლენილია და დადგენილი ბევრი საყურადღებო ფაქტი და დეტალი, დაზუსტებულია თარიღები, ცალკეულ თხზულებათა ტექსტები.

ტექნიკის დარგში პრემია მიენიჭა ორ ნაშრომს, ესენია: **„რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ კაპროლაქტამის წარმოებაში რესურსდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და დანერგვა“**. ავტორები არიან: ზ. კერვალიშვილი, ვ. ბახტაძე, ზ. გოგნაძე, გ. მიქაძე, ვ. ფალავა, დ. ყარაულაშვილი. მათ მიერ განხორციელებულია ფენოლის ერთსტადიური ჰიდრირების პროცესის, კატალიზატორისა და აპარატების დამუშავება, გამოცდა და დანერგვა. რეკონსტრუირებულია კაპროლაქტამის წარმოების ოქსიმირების, იზომერაციის, ნეიტრალიზაციის, ექსტრაქციის. სამქლორეთილენის რეგენერაციის სტადიები. ჩატარებულია კუპური ნარჩენებიდან სასარგებლო პროდუქტების უტილიზება.

გაუმჯობესდა ციკლოჰექსანონის, კაპროლაქტამისა და ამონიუმის სულფატის ხარისხი. შემცირდა ნედლეულისა და ენერგორესურსების ხარჯი. ზემოხსენებული პროდუქტების წარმოებაზე მკვეთრად იკლო აირების გამონაბოლქვმა და ჩამდინარე წყლების რაოდენობამ. გაიზარდა კაპროლაქტამის გამომუშავება.

„ეკონომიურად ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება-დანერგვა საწარმოო ციკლში „ფოლადი — მზა პროდუქცია“. ავტორები არიან: ვ. კოპალეიშვილი, ვ. გრივი, ო. იოსელიანი, ა. ლომაშვილი, ი. ქამაკაშვილი, დ. ზარაძე. ავტორთა მიერ მიღწეულია ეკონომიურად ლეგირებული სამილე ფოლადების კომპოზიციების შემუშავების და დადგენის საფუძველზე ფოლადების განჟანგვის, ლეგირების, გლინვის და დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა-სრულყოფა, შემუშავებულია, წარმოებაში დანერგილია ფოლადებისაგან მაღალი ხარისხის მზა პროდუქციის სამაგრი და სატუმბე-საკომპრესორო მილების დამზადება და ნავთობსარეწი მრეწველობისათვის მიწოდება.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს დებულების თანახმად აქვს უფლება მიანიჭოს პრემიები ორ სახელმძღვანელოს, რომელთაგან ერთი განკუთვნილია საშუალო და სპეციალური სკოლებისათვის და ერთი — უმაღლესი სასწავლებლებისათვის. სამწუხაროდ კონკურსში არ მონაწილეობდა საშუალო და სპეციალური სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები. ამიტომ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი ორი სახელმძღვანელოს დაჯილდოების შესახებ. ესენია:

„ახალშობილთა დაავადებები“. ავტორები არიან: გ. ნიჟარაძე (გარდაცვალების შემდეგ), ი. ფავლენიშვილი. სახელმძღვანელოში კლინიკური დაკვირვებებისა და ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე განზოგადებულია ახალშობილთა პათოლოგიის ძირითადი საკითხები. კერძოდ, გაშუქებულია მემკვიდრეობითი, ნივთიერებათა ცვლის, კანისა და ჭიპის დაავადებათა, ცენტრალური ნერვული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, თირკმელებისა და საშარდე სისტემების, სისხლის, ჰემოკოაგულაციისა და ენდოკრინული სისტემების დაავადებათა, აგრეთვე, ემბრიოფეტოპათიის, თანდაყოლილი და შეძენილი ინფექციის ეტიოლოგიის, პათოგენეზის, მორფოგენეზის, კლინიკისა და დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის აქტუალური საკითხები.

„შახტი-ლაბორატორია: უმაღლესი სკოლის სასწავლო-საწარმოო ბაზის ახალი ფორმა“. ავტორები არიან: ბ. დემეტრაძე, უ. გოჯიაშვილი, კ. კიზირია, ა. პაპისმედოვი, ე. ცისკარიშვილი, ა. ძიძიგური. შახტი-ლაბორატორია წარმოადგენს უნიკალურ სასწავლო ობიექტს. მისი ღირსება და ეფექტიანობა ისაა, რომ თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის ქვემოთ, მიწისქვეშ განთავსებულ გვირაბებში, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებულია მოქმედ შახტებთან, სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ინდივიდუალური მუშაობისათვის. შახტი-ლაბორატორია აღჭურვილია სამთო სამუშაოთა პროცესების მთელი კომპლექსით გათვალისწინებული მანქანა-მექანიზმებით, სატრანსპორტო საშუალებითა და დანადგარებით. მიწისქვეშა პოლიგონი იმის საშუალებას იძლევა, რომ სწავლების აქტიური მეთოდები ეფექტიანად შეერწყას პრაქტიკულ-საწარმოო მოდელირებას.

ამგვარად, გაირკვა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ახალი ლაურეატების ვინაობა. ვულოცავთ მათ სრულიად დამსახურებულ გამარჯვებას.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ კონკურსის ძალზე მკაცრი პირობების გამო შეუძლებელი გახდა სხვა ღირსეულ ნაშრომთა აღნიშვნა საპატიო ჯილდოთი, ხოლო თავად კონკურსმა თვალნათლივ წარმოაჩინა ქართული მეცნიერების საკმაოდ მაღალი დონე.

სერგი ჯაფარიძე,
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სწავლული მდივანი;
გიორგი ზაქარაიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის მეცნიერი თანამშრომელი.

გთხოვთ, მხარი დაგვიჭიროთ!

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს

ბატონებო! ჩვენი სოფლის მეურნეობის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება, რომ გასული საუკუნის ბოლოს, რუს და უცხოელ კაპიტალისტებს საქართველოში შეძენილი ჰქონდათ დაახლოებით 0,5 მილიონამდე ჰექტარი მიწა და ბურჟუაზიის 99 პროცენტი უცხოელი იყო (ამ შემთხვევაში, რევოლუციამ გადაგვარჩინა). მსხვილ კაპიტალისტ-ფერმერთა დიდი ნაწილი საქართველოს გარეთ ცხოვრობდა და იქიდან ეწეოდა ქვეყნის ექსპლუატაციას, ამიტომ, იმის თქმა, „მიწას ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ“, ან „დაგროვილ კაპიტალს სად წაიღებენო“, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობაა. საქართველოდან საბჭოთა რუსეთმა 600 მილიარდი დოლარის ეროვნული სიმდიდრე მარტო მანგანუმში გაიტანა... უცხოელთა მიერ საქართველოდან გატანილი კაპიტალი რომ ქართველ ხალხს მოეხმარა, იგი შეძლებდა საკუთარ საწარმოო ძალთა განვითარებას და ახლა ასეთ დღეში არ ვიქნებოდით.

დიდი მნიშვნელობა აქვს პრივატიზაციის შედეგად ვის ხელში გადავა მსხვილი და საშუალო საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები, წიაღისეული. საკმარისია, გავიხსენოთ ქვემო ქართლის მაგალითი, საიდანაც ბოლო დრომდე ახერხებდნენ („უცხო მწარმოებლები“ — სომხები) მოსაპირკეთებელი მასალების საზღვარგარეთ გატანას. მეტსაც ვიტყვით: სამაჩაბლოში, ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, აფხაზეთსა და კახეთში ქართული ტოპონიმებიც კი შეცვალეს. ეს მაშინ, როცა მიწის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლებოდა. ქართული მიწა-წყლის შეძენაში „დიდ წარმატებებს“ მიაღწია ეჩმიაძინის პატრიარქმა, ვაზგენმა, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში, იგი დღესაც იღვწის ამ საქმისთვის. არის ცნობები, რომ შეიქმნა (ქვემო ქართლში) სპეციალური ფონდი მიწების შესაძენად.

საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ყვარლის რაიონის სოფელ თიღში მიწების 67 პროცენტი მიჰყიდეს ლეკებს, ხოლო საცხოვრებელი სახლების 80 პროცენტი უკანონოდ აშენდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ზოგიერთ სხვა სოფელშიც. საგულისხმოა, რომ ქართული მიწები ლეკებს დაურიგეს მაშინ, როდესაც აქაურ ქართველ კაცს ორი ათეული წლის მანძილზე არც ერთი გოჯი მიწა არ ჰქონდა მიღებული.

ამასთან, ლეკთა თავდასხმების გამო მოსახლეობა საქონელს საძოვარზე ვერ უშვებდა, ბავშვებს — წყალზე, ქალებს — ბაღ-ვენახებში. ლეკები ხმამაღლა აცხადებდნენ, „[illegible] მიწები ალაზნამდე ჩვენიაო“ და რაც მათ 1988 წლის 2 ნოემბერს ახალსოფელში ჩაიდინეს, გასახსენებლადაც შემზარავია... ამ და სხვა უამრავი მიზეზის გამო, დღეს მიწით ვაჭრობის დაკანონება საბედისწერო შეცდომა იქნება!

1908 წლის 24 მაისს სოხუმში ყოფნისას დიდმა ილიამ იქაურ ქართველებს მიმართა: „...ღმერთს ვთხოვ, გიხსნათ თქვენ.... იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავსავით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე... აქამომდე ამ მშვენიერს... ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც... დღეს სხვა მტერი მოდის... იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვრული. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ, და ასე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობელნიც გახდეთ.

...ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი განსაცდელისაგან. ღმერთმა ქნას... შეირჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავსმოსაწონებლად“ („ივერია“, 1908. 4.6).

დეპუტატთა ერთი ნაწილის აზრით, მსხვილი კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობების გასამართავად აუცილებელია შესაფერი საკარგულების შეძენა. სხვანაირად, თურმე, ვერ გავხდებით მაღალგანვითარებული და ცივილიზებული ქვეყანა. მისასალმებელია, როცა არიან ადამიანები, ვისაც გადაუწყვეტია მსხვილი მეურნეობების მოწყობა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად კი საჭიროა, დიდძალი კაპიტალი, საშენი მასალები, მოწყობილობა-დანადგარები და საწვავი. მაგრამ ჩვენ ხომ ბევრი უნიკალური მეურნეობა-მოწყობილობა, გამართული და რენტაბელური, უკვე გავანადგურეთ და დღესაც ვანადგურებთ, გადაწყვიტეთ ცხვარი და ძროხა, გაჩეხეთ ვაზი და ხეხილი!

ბატონებო! ჩვენი ქვეყანა მცირემიწიანია. ბევრმა რაიონმა საკარმიდამოები ვერ შეუვსო გლეხობას. ბევრმა საკრებულომ მოქალაქეებს გამოუყო მხოლოდ 0,15, 0,25, 0,30, 0,48 ჰა, იშვიათად — 1 ჰექტარი. საინტერესოა, საიდან და ვისგან უნდა შეიძინონ მსხვილი ფერმერული მეურნეობების გასამართად შესაფერისი მიწები?!

ამ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზა იჯარაა.

იჯარა, კი, როგორც ცნობილია, არის აგრარული ურთიერთობის უნიკალური ფორმა, რომლის გამოყენებით, ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის მსგავსად, ჩვენთანაც შეიძლება ნებისმიერი სახით კაპიტალისტური მეურნეობების გამართვა. ხომ არ აჯობებს, მივხედოთ არსებულს და მათ ბაზაზე შევქმნათ თანამედროვე ფერმერული მეურნეობები?

ამდენად, იქნებ, პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღოს გადაწყვეტილება არსებული მეურნეობების დაშლის, გაუქმებისა და გაპარტახების შესაჩერებლად!

ეჭვგარეშეა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც სავალალო ეთნიკურ მდგომარეობას, რაც დამღუპველია ჩვენი ერისათვის. რა დასამალია, და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან — ჩვენი „თანამემამულეები“ აქტიურად მონაწილეობდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. არც ისაა შემთხვევითი, რომ აფხაზეთში შეიქმნა ბაგრამიანის სახელობის სამხედრო ბატალიონები. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, სანამ საქართველო ეთნიკურად ფეთქებად მდგომარეობაშია, მიწის გაყიდვა დაუშვებელია.

ახლახანს სოფლის მეურნეობის გაძღოლის ხერხებისა და მიწაზე კერძო საკუთრების ფორმების შესწავლის მიზნით, ისრაელში იმოგზაურეს ბატონებმა: როინ ლიპარტელიანმა, ოთარ კვესიტაძემ და ჯუმბერ პატიაშვილმა. **როგორც ირკვევა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში: გერმანია, იტალია, შვეიცარია (ამ უკანასკნელში მიწის ნახევარზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაშია) — აკრძალულია მიწის ყიდვა-გაყიდვა. მუსლიმანურ ქვეყნებში მიწა ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაშია და არ ხდება მისი განკარგვა. რაც შეეხება ისრაელს, აქ მიწის ყიდვა-გაყიდვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სამაგიეროდ, ფართოდ გამოიყენება აგრარული ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა მიწის იჯარა. ამ გზით სახელმწიფო ბიუჯეტში სოლიდური თანხები შედის.**

მოკლე ხანში, პარლამენტის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნება „საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონი“, რომელიც განსახილველად იყო გამოქვეყნებული. მივიღეთ ბევრი დადებითი რეცენზია. არის საქმიანი შენიშვნები და წინადადებები, რომელთა უმრავლესობა გავითვალისწინეთ.

ძვირფასო დეპუტატებო, გთხოვთ, მხარი დაგვიჭიროთ!

პროფესორები: **თენგიზ ჩხეიძე, ოთარ ხალარიშვილი, რამინ რამიშვილი, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ლევან ფრუიძე, ტიტე ჩიქოვანი.**

არა აქვს რეალური საფუძველი

ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის შეხვედრის შედეგად მიღწეული დაზავების შემდეგ გუდაუთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაჟინებით ავრცელებენ ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ცნობას იმის შესახებ, რომ, იყენებს რა ცეცხლის შეწყვეტას, საქართველოს მხარემ მკვეთრად გააქტიურა მუშაობა, რათა კონფლიქტის ზონაში გადაისროლოს დამატებითი ძალები, მათ შორის დაქირავებულები და ტ-72 და ტ-80 ტანკები უკრაინიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ზემოაღნიშნული ცნობები მორიგი დეზინფორმაციაა, რომელსაც არა აქვს რეალური საფუძველი, და გუდაუთის მხარე იყენებს მას მდინარე გუმისთის გასწვრივ ფრონტის ხაზზე მიმდინარე აქტიური საომარი მზადების შესანიღბავად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრო

პოზიცია: ავად გახმაურებული „108-თა მიმართვის“ გამო

თავი შევიკავოთ უპასუხისმგებლო განცხადებებისაგან

ამას წინათ, „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა გახმაურებულ წერილს მხარი აუბა ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა ერთმა ნაწილმა. ახლა, როდესაც ომი აფხაზეთში მიდის შეწყვეტისაკენ და რესპუბლიკაში იქმნება სტაბილური მდგომარეობა, ბევრი რომ არ ვთქვათ, უზნეობად მიგვაჩნია ყოველგვარი მოწოდება სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის შესახებ.

სიძნელეები და ზოგიერთი წარუმატებლობა ქვეყანას ნამდვილად აქვს, მაგრამ მათი საფუძველი ვეებერთელა იმპერიის მსხვრევაში უნდა ვეძიოთ, ვინაიდან დღეს, დალხენით არავინ ცხოვრობს. როდესაც, პოლიტიკის ნეგატიურ მოვლენებზე ვამახვილებთ ყურადღებას, არ უნდა დავივიწყოთ ის პოზიტიური ცვლილებები, რასაც თავისუფლების გზაზე მიმავალმა საქართველოს რესპუბლიკამ მიაღწია: საყოველთაო აღიარება და დიპლომატიური მისიების ჩამოსვლა, ურთიერთობის გაუმჯობესება მეზობელ ქვეყნებთან და ამ მხრივ, გადადგმული ნაბიჯი რუსეთთან. ერთი სიტყვით, ახლა სწორედ ის დროა, როცა გვირაბის ბოლოს სინათლე ნამდვილად გამოკრთა.

აგრარიკოსი მეცნიერები კატეგორიულად ვგმობთ ყოველგვარ გამოსვლას პრესის ფურცლებზე თუ სხვა საშუალებებით, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის დაწყნარებასა და რესპუბლიკის ეკონომიკის ამოქმედებას, ყოველი ასეთი უგუნური ნაბიჯი ჩვენი მტრის წისქვილზე უშვებს წყალს და კატასტროფის პირამდე მისულ ქვეყანას უფსკრულისაკენ უბიძგებს. ვენდოთ კანონიერი გზით არჩეულ პარლამენტსა და მთავრობას, მის ნაცად ხელმძღვანელსა და მსოფლიოში აღიარებულ პოლიტიკურ მოღვაწეს, თავი შევიკავოთ უპასუხისმგებლო და წინდაუხედავი განცხადებებისაგან.

აგრარიკოს მეცნიერთა სახელით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

საქართველოს იურისტთა კავშირის მიმართვა

●

რას ფიქრობს ჩვენზე— პრესაზე, ტელევიზიაზე იურისტთა კავშირი

მისი პრეზიდიუმის მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: „მიგვაჩნია, რომ პრესამ და ტელე-რადიო მაუწყებლობამ თავი უნდა შეიკავონ ისეთი პუბლიკაციებისა და გადაცემებისაგან, რომლებიც წყალს უშვებენ მტრის წისქვილზე და ისედაც მცირერიცხოვანი ერის დაჩიხულობასა და ურთიერთმტრობას აღვივებენ. საგულისხმოა და ყურადსაღებია ისიც, რომ ასეთი პუბლიკაციები დანაშაულობის კატასტროფული ზრდის ტემპების ერთ-ერთი, არც თუ ისე უმნიშვნელო კატალიზატორია. ხაზგასმით შევახსენებთ, ამგვარი წერილები თუ გადაცემები ისედაც გაღატაკებული, მოშიმშილე ადამიანების ფსიქიკურ სტრესებს უარესად აგრესიულს ხდიან და ობიექტურად ძალადობითი დანაშაულისაკენ უბიძგებენ. ისეთი სურათი და აზრი იქმნება, რომ თავგამოდებული შეჯიბრია გამართული, თუ ვინ ვის აჯობებს სენსაციური, ეთიკის ელემენტარული წესების სრული უგულვებელყოფით შედგენილი წერილების გამოქვეყნებაში“.

იურისტთა კავშირი დაბეჯითებით გვთხოვს შევწყვიტოთ წარსული და ამჟამინდელი ხელისუფლების ურთიერთდამაპირისპირებელი პუბლიკაციების გამოქვეყნება. „დღევანდელი საქართველოს პირობებში პრესის თავისუფლება უნდა წაადგეს არა ერის გათიშვასა და აქედან გამომდინარე ათასნაირ უბედურებას, არამედ მის კონსოლიდაციას“, ნათქვამია ამ მიმართვაში.

თანადგომის ხელი გავუწოდოთ!

ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩვენი საზოგადოებრიობისა და ქვეყნის წინაშე კვლავ დადგა უკანასკნელი წლების მანძილზე ერთობ გახმაურებული — საქართველოდან დეპორტირებულ მესხთა პრობლემა. მახსოვს, მაშინ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობათა კომისიაში, შევხვდი დეპორტირებულ მესხთა საზოგადოება „ხსნის“ წარმომადგენლებს, რის შესახებაც სათანადო პუბლიკაციაც მივაწოდე ჩვენს მკითხველებს. საქმე ის გახლდათ, რომ ე. წ. „თურქ-მესხთა“ მოძრაობაში, რომელსაც საქართველოსათვის კიდევ ერთი პრობლემის შესაქმნელად იყენებდნენ იმპერიული ძალები, მოხდა გაყოფა, რის შედეგადაც შეიქმნა პროქართული სულისკვეთების დეპორტირებულ მესხთა საზოგადოება „ხსნა“, რომლის წევრებმაც თხოვნით მიმართეს ჩვენს პარლამენტს, სახელმწიფოს მეთაურს, მთელ ქართველ საზოგადოებრიობას, გამოენახათ შესაძლებლობანი, თავის დროზე სამშობლოდან ძალადობით მოწყვეტილი მესხთა ქართული ოჯახების საქართველოში დასაბრუნებლად. ზოგიერთი მათგანი, როგორც ვიცით, უკვე რამდენიმე წელია, ჩასახლდა კიდეც რესპუბლიკის რიგ რაიონებში და, რომ იტყვიან, მთელი სულითა და გულით შეუდგა ქართველობას, ეზიარა ენას, სარწმუნოებას, ძმობას, ჩვენს ჭირსა და ლხინს.

ამ ორი თვის წინათ, მესხთა საზოგადოება „ხსნის“ წევრებმა, სახელმწიფო მეთაურს წარუდგინეს მათ ოჯახებში აღზრდილი ახლადშეუღლებული შესანიშნავად მოქართულე წყვილები, მოუთხრეს თავიანთ გეგმებზე, რომელიც ითვალისწინებს სამშობლოში თანდათანობით დაბრუნებულ მესხთა ოჯახების ჩაბმას საერთო ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ მაშინ გადაწყდა შემუშავებულიყო კონკრეტული პროგრამა, რომელიც საფუძვლიანად გაითვალისწინებდა ამ პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების შესწავლას, შეიმუშავებდა მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებს.

მართლაც, ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა გასწიეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიამ ბატონ გიგა ლორთქიფანიძის მეთაურობით, რესპუბლიკის მთავრობის მთელი რიგი სამსახურების პასუხისმგებელმა მუშაკებმა, თვით დეპორტირებულ მესხთა საზოგადოება „ხსნის“ წარმომადგენლებმა.

მათ მიერ შემუშავებულ კონკრეტულ ღონისძიებათა პროექტი საფუძვლად დაედო სათანადო განკარგულებას, დეპორტირებულ მესხთა ზოგიერთი სოციალური პრობლემის მოგვარების შესახებ, რომელიც ახლახან მიიღო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

შევეცდები, რაც შეიძლება კომპაქტურად გადმოგცეთ ამ განკარგულების შინაარსი:

— გაეროსა და ევროთათბირის მიერ მიღებული აქტების განუხრელი შესრულების მიზნით, 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებულ მესხთა უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მინისტრთა კაბინეტს დაევალა მათი პრობლემების მოსაგვარებლად დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებთან კონსულტაციებითა და შეთანხმებებით გაარკვიოს ამ პრობლემის გადაჭრაში საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეობის მასშტაბი, ფორმები და ვალდებულებები და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს შესაბამისი გრძელვადიანი კომპლექსური მიზნობრივი პროგრამა.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებით, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერს ავთანდილ მარგიანს დაეკისრა უახლოესი სამი თვის ვადაში, განახორციელოს სათანადო ღონისძიებები მესხთა იმ ოჯახების სამშობლოში დასაბრუნებლად, რომლებიც იძულებით უკანონოდ გაასახლეს საქართველოდან 1989-1991 წლებში.

საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს კი დავალებული აქვს, სამი თვის ვადაში წარმოადგინოს კრასნოდარის სამხარეო ადმინისტრაციასთან ამ საკითხზე 1992 წლის შეთანხმების რეალიზაციის პროგრამა.

სახელმწიფოს მეთაურის აღნიშნული განკარგულება ითვალისწინებს აგრეთვე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული დეპორტირებული მესხი ახალგაზრდობისთვის სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ორწლიანი კურსების გადაკეთებას ორწლიან მოსამზადებელ განყოფილებად, ვაკის სტუდქალაქში, არსებული ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებლის გარემონტებასა და ინსტიტუტისათვის გადაცემას აქ მესხი ახალგაზრდების სოციალური ადაპტაციის ცენტრის ორგანიზებისათვის.

ამასთან, რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატები უკიდურესად გაჭირვებულ მესხთა ოჯახებს შესთავაზებენ თავისუფალ ადგილებს მათი ბავშვების სწავლებისა და აღზრდისათვის.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტი შეიმუშავებს რეპატრირებულთა სოციალური ადაპტაციის პროგრამას, მესხთა ინტერესების ორგანული შერწყმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ინტერესებთან, ქართულ სოციალურ თუ კულტურულ სამყაროში მათი თანდათანობითი ჩართვის პროცესი ფართო ასახვას პოვებს როგორც ტელერადიოგადაცემებში, ისე ჩვენი პრესის ფურცლებზე. განზრახულია, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი დეპორტირებულ მესხთა საზოგადოება „ხსნის“ პერიოდული გაზეთის გამოცემას. მესხთა ოჯახებს სისტემატურ დახმარებას გაუწევს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის სამსახური.

ასე რომ, საქმე დაიძრა. ჩვენც ავდგეთ და ძმურად შევეგებოთ, მეგობრობისა და თანადგომის ხელი გავუწოდოთ იმათ, ვისაც სურს ქართველობა, ჩვენი ჭირისა თუ ლხინის გაზიარება, სიკეთე და თანადგომა — ასეთი იყო საერთო აზრი, ჩვენი პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიისა, რომელიც განვლილი თვეების მანძილზე ამზადებდა ამ საკითხს. ვფიქრობ, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების მერიებისა და რაიონების გამგეობათა ხელმძღვანელებიც გაითავისებენ სახელმწიფოს მეთაურის დავალებას და ამთავითვე დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ კეთილშობილური და პატრიოტული საქმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

გია ჟელიძე.

ვინ, რას და როგორ გვაჭმევს

მოსახლეობის სწორად გააზრებულ კვებას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით დღეს, საყოველთაო გაჭირვებისა და მწვავე დეფიციტის პირობებში. მოსალოდნელი იყო, შესაბამისი სამსახურები არსებულ ვითარებას კრიტიკულად შეაფასებდნენ და მუშაობას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნიდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, შეიძლება პირდაპირ ითქვას: საზოგადოებრივი კვების სფეროში სრული განუკითხაობა და ქაოსია. ძველი სტრუქტურები ირღვევა ან ძალადაკარგულია, ახალი კი არაფერი იქმნება, ხშირად ამ სათუთ საქმეს შემთხვევითი პიროვნებები ეტანებიან, რომელთაც არც პროფესიული განათლება აქვთ და არც გამოცდილება გააჩნიათ.

შედეგი უმძიმესი და საგანგაშოა: სიბინძურესა და მტვერში ჩაფლული ადამიანები, ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაუცველად, მამასისხლად სთავაზობენ მომხმარებელს საეჭვო ღირსების ნამზადს. დღეს თბილისისთვის ჩვეულებრივ სცენად იქცა: პირდაპირ ქუჩაში ერთად ყიდიან ღვეზელს, ნამცხვარს, საღეჭავს, საპონს, სარეცხის ფხვნილს, კარაქს და უამრავ სხვა პროდუქტს. და ამ დროს მაღაზიები ცარიელია. საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია ასე დაცემული და მიწასთან გასწორებული არასდროს ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ საუკუნეთა მანძილზე ხალხის სწორად კვებას სარწმუნოება განაგებდა — ღმერთის თაყვანისცემამდე ამაღლებული წესჩვეულებებით, წლის დროთა, საქმიან და უქმე დღეთა, ხსნილისა და მარხვის გეგმაზომიერი შეთანაწყობით. ოდითგანვე ჩამოყალიბებული ცხოვრების ეს რიტმი, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობას უზრუნველყოფდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიშალა. ეკლესია შერისხეს, ხოლო ხალხის კვება თვითდინებაზე მიუშვეს. თუმცა, თანდათან, ერთგვარი კანონზომიერება მაინც დამყარდა, მაგრამ საზოგადოებრივი კვება რატომღაც ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მოაქციეს და ამ ჰაერივით საჭირო დარგს საკუთარი პროფილი და განვითარების გზა დაუხშეს. მის სტრუქტურულ უმწეობას მეტყველებს ნაირგვარი ტრესტებისა და სამმართველოების შექმნისა და დაშლის განუწყვეტელი პროცესი, რაც წლობით მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება. დარგის მიზანმიმართულ მართვას, ამასთანავე, წინ ეღობებოდა თვითნებობა, სუბიექტივიზმი და კორუფცია.

მოსალოდნელი იყო, თავისუფალ საქართველოში ეს დამოკიდებულება შეიცვლებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით. ისევ გაგრძელდა ტრესტებისა და სამმართველოების შექმნა-დაშლის მავნე პრაქტიკა. შარშან დედაქალაქის საზკვების სამმართველო, ვინ მოთვლის, მერამდენედ გაუქმდა და ვაჭრობის სამმართველოს შეუერთდა, ისე რომ, სახელწოდება „საზკვება“ საერთოდ, ამოვარდა. ახლად შექმნილ სამმართველოს ჯერ „ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო“ ეწოდა, ხოლო შემდეგ „ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველო“ დაარქვეს.

წლეულს პირველ კვარტალში თვით რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფი — დარგობრივი „საზკვების სამმართველო“ — შეუერთეს ამავე სამინისტროს „ვაჭრობის ორგანიზაციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის (?!) სამმართველოს“. უფრო მთავარი ის არის, ამ სტრუქტურული [illegible] მიღმა იმალება მავნე პრაქტიკა (რაც საბჭოთა პერიოდს ახასიათებდა)— მომხმარებელთა ძარცვა და „მარცხენა“ შემოსავლის უზრუნველყოფა, ხარისხის დაქვეითება და ზომა-წონაში მოტყუება, რთულ მწარმოებლურ სფეროში არამწარმოებელ დილეტანტთა თარეში. ადრე ამ უკეთურობას ფორმალურად მაინც ებრძოდნენ, ახლა კი, ფასების ლიბერალიზაციისა და სრული უკონტროლობის პირობებში, აბსოლუტური თვითნებობა ბატონობს.

ადრე ხდებოდა პროფესიული კადრების (მზარეული, ხაბაზი, მეშაქარლამე, მიმტანები და ა. შ.) სხვადასხვა ფორმით მომზადება. იყო მოსწავლეთა ინდივიდუალური (შეგირდების მიღება, უშუალოდ საზკვების საწარმოებში) და ბრიგადული სწავლება (სკოლა-საწარმოებში), აგრეთვე, ახალგაზრდა შეგირდების სწავლება.

ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო-კულინარული სასწავლებლები (თბილისში, ქუთაისში, სოხუმში) დიდი რაოდენობით ამზადებდნენ მზარეულებს, კულინარებს და სხვა მასობრივი პროფესიის მუშაკებს, ხდებოდა საზკვების ქსელში მომუშავე სპეციალისტთა ორთვიანი გადამზადება. ყველაფერი ეს მოიშალა.

პრობლემა

ზოგადტექნიკურ, საშუალოტექნიკურ და დარგობრივ უმაღლეს სასწავლებლებში საზკვების მასობრივი პროფესიის და უმაღლესი განათლების (მზარეულები, ინჟინერ-ტექნოლოგები) სპეციალისტთა მომზადება გაუმჯობესების ნაცვლად თანდათან იკვეცება და მცირდება.

ასეთი მდგომარეობა დაპყრობილ, კოლონიურ საქართველოშიც არ ყოფილა. მეფის რუსეთის დროსაც არსებობდა სასწავლებლები, სადაც საზოგადოებრივი კვების მუშაკებს ამზადებდნენ. ამასთან, ფუნქციონირებდა ოსტატობა-შეგირდობის მამა-პაპური სისტემა, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა შთამომავლობითი, ოჯახური დასპეციალება-დახელოვნება. ამჟამად, ყოველივე ეს ჩვენს თვალწინ კვდება, იღუპება.

იმის მიუხედავად, რომ ქართულმა სამზარეულომ უცხოეთში უდიდესი აღიარება მოიპოვა (ამ დარგს ვალუტის მოზიდვის თვალსაზრისით ბადალი არა ჰყავს), მას განვითარების ნაცვლად ვჩქმალავთ და მიწასთან ვასწორებთ. გულწრფელად გვიკვირს და ვერ აგვიხსნია, რატომ? ნუთუ აღარ უნდა მივიდეთ იმ გონივრულ გადაწყვეტილებამდე, რომ უკანონოდ ფულის კეთებას ჯანსაღი კომერცია სჯობია? ახლა ხომ მაინც ხელს აღარ გვიშლის საკავშირო დიქტატი, რომელიც ყოველგვარ ეროვნულ საქმეს ჩანასახშივე სპობდა.

არსებული სიძნელეებით შეუძლებელია გავამართლოთ საზოგადოებრივი კვების სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური სამსახურის მოშლა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით არსებობდა ქრონიკულ დაავადებათა, დიეტურ-პროფილაქტიკური კვების, დიეტური სასადილოები და განყოფილებები, სადაც საზკვების მუშაკებთან ერთად მენიუს შედგენასა და ტექნოლოგიურ პროცესებში სამედიცინო დარგის პერსონალიც მონაწილეობდა.

სანიტარიული, სანჰიგიენური და სანეპიდემიოლოგიური სისტემის პირველადი, ძირითადი რგოლი იყო სანიტარიული საგუშაგოები, თითოეული საზკვების საწარმოს სანიტარიული ექიმი და მასთან შექმნილი საწარმოს მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის წუნმდებლის ჯგუფი. ფუნქციონირებდნენ:

— დიეტური სასადილოების ექიმ-დიეტოლოგი და შესაბამისი ექთანი.

— საზკვების ტრესტების სანიტარიული ექიმი.

— რაიონული ან ქალაქის დაქვემდებარების საზკვების ტრესტების და საზკვების სამმართველოების სანიტარიული ექიმები.

— ვაჭრობის სამინისტროს სანიტარიული ექიმი.

—ქიმიურ-ტექნოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების ქსელი.

გარდა ამისა, საზკვების საწარმოთა მუშაობისადმი სანიტარიულ ზედამხედველობას ახორციელებდნენ შესაბამისად რაიონების, ქალაქების და რესპუბლიკური დაქვემდებარების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დარგის სამსახურები.

ამჟამად, ყველა ეს სამსახური მთლიანად ან ნაწილობრივ პარალიზებულია. და ეს იმ დროს, როცა ბიზნესს მიძალებული ათასი ჯურის მოხალისე აცხობს, აკეთებს და ყიდის. ყიდის ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაუცველად, ქუჩის ჭუჭყსა და სიდუხჭირეში. რისგან და როგორ მზადდება შემოთავაზებული საკვები, წარმოდგენა არ გვაქვს.

კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გვინდა განვაცხადოთ: თავისუფლება განუკითხაობას როდი ნიშნავს. ვიდრე მასობრივი მოწამვლები მოხდებოდეს, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ამ სტიქიური პროცესების მართვა, მით უფრო, რომ რესპუბლიკაში ისედაც უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ვითარებაა. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი კვების სფეროში ჩაბმული მოქალაქეების აღრიცხვა, მათი ჯანმრთელობის შემოწმება, საქმიანობის, საშუალებების და ადგილის ფიქსირება, დამყარდეს მკაცრი წესრიგი.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ვაჭრობის სამინისტროს, მით უმეტეს პროფილის შეცვლის შემდეგ, გაუძნელდება საზოგადოებრივი კვების კომპლექსურ პრობლემათა გადაწყვეტა. ალბათ, უპრიანია ეს საკითხები პარლამენტთან არსებულმა კომისიამ შეისწავლოს და შეიმუშაოს ეროვნული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ფართო ასპარეზზე გასვლის ღონისძიებები, როგორც კერძო ბიზნესის მიმართულებით, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც. ჩვენი ღრმა რწმენით, ამჟერად სხვა გამოსავალი არ არსებობს.

შალვა ლობჟანიძე,
ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
ლევან ფრუიძე.
საქართველოს პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი, ეთნოგრაფი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ

საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მიმდინარეობს ეროვნული არმიის შექმნის პროცესი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ამ ბოლო დროს მოვიდა ახალგაზრდა, ენერგიული, ეროვნული არმიის შექმნისათვის აქტიური მებრძოლი თაობა, რომელიც საჭიროებს საქართველოს პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროებისა და უწყებების, ყველა მოქალაქის მხარდაჭერას.

რესპუბლიკის ერთიანი, კარგად შეიარაღებული არმიის შექმნა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომლის განხორციელებაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, ოჯახი, მთელი ხალხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის აპარატთან ერთად შეიმუშაოს და ათი დღის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს — შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინისა და შეიარაღებული ძალების სამხედრო აღმშენებლობის პროგრამის შესწორებული პროექტი, რომელთა შემუშავებაში აქტიურად ჩააბას კვალიფიციური სამხედრო სპეციალისტები, თადარიგისა და გადამდგარი ოფიცრები და გენერლები, ფართოდ გამოიყენოს საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალისტები და მათი გამოცდილება.

აღნიშნული პროექტები უნდა უპასუხებდნენ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს და სრულად შეესაბამებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

2. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა შეიარაღებული ძალების შექმნისა და ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამხედრო ნაწილებსა და დაწესებულებებში ოფიცერთა შემადგენლობის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას. მათ სწორ შერჩევას, თანამდებობის მიხედვით განლაგებას და პროფესიულ მომზადებას. ამ მიზნით, შეიმუშაონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსის ფორმირების ღონისძიებათა კომპლექსი, შემოიღონ სწავლებისა და აღზრდის ისეთი სპეციალური სტრუქტურები, როგორიცაა კადეტთა კორპუსი, საშუალო და უმაღლესი ოფიცერთა სასწავლებლები, სამხედრო აკადემია, სამხედრო ადიუნქტურა და სხვა. შეისწავლონ და ფართოდ დანერგონ უცხოეთის ქვეყნების არმიებში ოფიცერთა კადრების მომზადების გამოცდილება.

3. რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასვლასთან დაკავშირებით ყველა რანგის ხელმძღვანელის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი და პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს უმოკლეს დროში საქართველოს სასაზღვრო ჯარების შექმნა, მათი შემდგომი განმტკიცება და სრულყოფა. ახლად შექმნილმა ეროვნულმა სასაზღვრო ჯარებმა უნდა უზრუნველყონ ხმელეთზე, ზღვაზე, ტბებსა და მდინარეებზე საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობა.

4. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან არსებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა და სამრეწველო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების, იარაღისა და საბრძოლო მასალების გამოშვების, საავტომობილო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების დამზადების, შეიარაღებულ ძალებში არსებული საბრძოლო ტექნიკის რემონტის ჩატარების საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიზნობრივი პროგრამები.

ბ) სამხედრო-თავდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმის პროექტი.

5. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორსა და საქართველოს პარლამენტის შესაბამის მუდმივმოქმედ კომისიებთან ერთად განიხილონ და ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს — შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის ძირფესვიანად გარდაქმნის, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისა და კანონიერებისათვის ბრძოლის გამკაცრების წინადადებები.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში აღმზრდელობით პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს მხედრობის საუკეთესო ისტორიული ტრადიციები, სამხედრო მოსამსახურეებისათვის მაღალი საბრძოლო სულისკვეთების, დისციპლინის, თავისი სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის თავგანწირვის უნარის ჩანერგვა.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის უკეთ მომზადების, მათი ფიზიკური წვრთნის ამაღლებისა და საბრძოლო მომზადებისათვის მზადყოფნის მიზნით ხელახლა, ერთი თვის ვადაში განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების, როგორც სახელმწიფო საგნის და მოსწავლე ახალგაზრდობის სამშობლოს დაცვისათვის მომზადების სისტემის შემადგენელი ნაწილის აღდგენისა და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და განათლების სამინისტროებმა სხვა სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად, რომლებიც დაკავებული არიან ახალგაზრდობის აღზრდით, შეიმუშაონ ღონისძიებათა კომპლექსი, სწავლების დაწყებიდანვე ახალგაზრდა თაობისათვის პატრიოტიზმისა და რესპუბლიკის ინტერესების დაცვის პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვის მიზნით.

დაწყებითი სამხედრო მომზადების გავლის შედეგად ყოველ ახალგაზრდას უნდა გამოუმუშავდეს არმიული ცხოვრების სიძნელეების დაძლევის უნარი, სურვილი და მისწრაფება სიამაყის გრძნობით იმსახუროს ეროვნული არმიის რიგებში, შეიგნოს სამშობლოს დაცვის აუცილებლობა, როგორც საქართველოს მიწისა და წინაპართა ხსოვნის წინაშე წმიდათაწმიდა მოვალეობის მოხდა.

7. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში შეიქმნას სათანადო აპარატურით აღჭურვილი საინფორმაციო სამსახური (პრესცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო ინფორმაციის გავრცელებას და განახორციელებს სამხედრო ცენზურას. ამასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საქტელერადიოკორპორაციასთან მჭიდრო კონტაქტში აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო აღმშენებლობის, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და სამხედრო სამსახურის პროპაგანდას, გააშუქებს ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული აღზრდის, მისი სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვევის საკითხებს.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს — შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს წინადადებები ყველა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის მნიშვნელოვანი ოდენობით გაზრდის შესახებ. მიუხედავად რესპუბლიკაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, სამხედრო მოსამსახურეები უნდა გახდნენ მოსახლეობის მატერიალურად ყველაზე უკეთ უზრუნველყოფილი ნაწილი.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს — შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების წევრების, დაჭრილთა და დაინვალიდებულთა საპენსიო უზრუნველყოფისა და მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის ღონისძიებათა გეგმა. ამასთან, გაითვალისწინონ, რომ პენსიები და დახმარებები უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფენ ამ ადამიანების ცხოვრების ნორმალურ დონესა და პირობებს.

ბ) წინადადებები დაჭრილთა და დაინვალიდებულთა რეაბილიტაციის, ადაპტაციისა და შემდგომი მკურნალობის გაუმჯობესებისათვის დამატებით სპეციალიზებული სამკურნალო დაწესებულებების გახსნის, სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნის, შეღავათიან პირობებში მათი მკურნალობის შესახებ. ამ მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში საგანგებო შტაბის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დაჭრილთა შემდგომ მკურნალობას, მედიკამენტებით მომარაგებას, საჭიროების შემთხვევაში კი, გაგზავნის კვალიფიციურ სამედიცინო სპეციალისტებს მოთხოვნის ადგილზე.

გ) ღონისძიებათა გეგმა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში დაჭრილთა და დაინვალიდებულთათვის მედიკამენტების სპეციალური რეზერვის შექმნის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაჭრილთა გადასარჩენად პირველი რიგის მედიკამენტების, სანარკოზე და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების, ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების, სისხლის შემცვლელი სითხეების, სტერილური პრეპარატების დაგროვებას.

10. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას სპეციალური კომისიები მინისტრების, უწყებების უფროსების, ქალაქების მერების, ქალაქებისა და რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეების ხელმძღვანელობით. ამ კომისიებს დაევალოთ: ომიდან დაბრუნებულ მეომართა შრომითი მოწყობა, მათი შემდგომი მკურნალობის ორგანიზაცია, მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა, სპეციალური კურსების გახსნა ამ მეომართა გადამზადებისა და ახალი პროფესიების დაუფლების მიზნით. მეომარ-ინვალიდებზე ყოველმხრივ ზრუნვას სახელმწიფო უნდა იღებდეს თავის თავზე.

11. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ ჩაატაროს სამუშაოები სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლის დეტალების ესთეტიკური გაფორმების მიზნით და შეიტანოს მასში ეროვნული სახელმწიფო სიმბოლიკის ნიშნები. ქართული სამხედრო ფორმა უნდა იყოს თანამედროვე და მიმზიდველი, რომელიც ხაზს გაუსვამს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურის ღირსებასა და სახელს.

12. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გაატაროს ღონისძიებები სამოქალაქო თავდაცვის, როგორც საერთო-სახელმწიფო თავდაცვითი ღონისძიებების სისტემის შემადგენელი ნაწილის, შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანომ — საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსმა განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელობა დიდი მასშტაბის სამრეწველო ავარიების, კატასტროფების, სტიქიური და ეკოლოგიური უბედურებებისა და დაზიანებების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შედეგებისაგან საქართველოს მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

13. გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ [illegible] მეცნიერები, მწერლები და პუბლიცისტები აქტიურად გამოეხმაურებიან რესპუბლიკაში ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობის საკითხებს, სამშობლოს ღირსეულ დამცველებს, რომლებიც დგანან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების სადარაჯოზე და იარაღით ხელში იცავენ მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მიუძღვნიან თავის ნაწარმოებებს, რომლებშიც აღწერენ მათ გმირულ საქმეებს.

ედუარდ შევარდნაძე.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია არის სამართალდაცვის გასამხედროებული შეიარაღებული სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც შედის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში. პოლიცია მოვალეა დაიცვას პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, პატივი და ღირსება, უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირებების შექმნა, რომლებიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. პოლიციის ამოცანები

პოლიციის ამოცანებია:

— კანონით დადგენილი წესით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

— საზოგადოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის უზრუნველყოფა;

— დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და აღკვეთა;

— დანაშაულის გახსნა და დანაშაულის ჩამდენი პირის დაძებნა;

— ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

— კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

აკრძალულია პოლიციის გამოყენება იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც არ ეკისრება მას ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 3. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, საქართველოს რესპუბლიკის კანონები, ეს კანონი, სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. პოლიციის საქმიანობის პრინციპები

პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის, საჯაროობის პრინციპებს.

პოლიცია პიროვნების უფლებებს იცავს მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

აკრძალულია პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

მუხლი 5. საჯაროობა პოლიციის საქმიანობაში

პოლიცია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით კოლექტივებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და მოქალაქეებს.

პოლიციას უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია, გამოძიებისა და მოკვლევის მასალები, ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქის პირად ცხოვრებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობები

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდაცვის ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

მუხლი 7. პოლიციის თანამშრომლობა სხვა ორგანოებთან

დანაშაულის გახსნის, თავიდან აცილების და აღკვეთის, მოკვლევის მიზნით პოლიცია თანამშრომლობს სამართალდაცვის სხვა ორგანოებთან.

თავი 2. პოლიციის მოვალეობები და უფლებები

მუხლი 8. პოლიციის მოვალეობები

პოლიცია თავისი ამოცანების შესაბამისად მოვალეა:

1) კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს მოქალაქეს სათანადო დახმარება;

2) შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, კანონის შესაბამისად განახორციელოს დაცვის უფლება, შეატყობინოს მის შესახებ ოჯახს, სამუშაო ან სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას;

3) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ზუსტად დაიცვას მოქალაქის კანონით დაცული უფლებები. მოქალაქის უფლების შეზღუდვა მოახდინოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. მოქალაქის უფლების იძულებითი შეზღუდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი წარუდგება მოქალაქეს, წარუდგენს პირადობის მოწმობას, განუმარტავს მას კონკრეტული შეზღუდვის გამოყენების საფუძველს და უფლებებს;

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია მოქალაქესთან ურთიერთობის დროს მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები. თუ პოლიციის თანამშრომლის მოქმედებას, როდესაც მის მიერ იზღუდება მოქალაქის უფლება, თან სდევს სიტყვები: „კანონის სახელით!“, ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს და შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა;

4) დაადგინოს დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, ჩაატაროს სამართალდამრღვევებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა;

5) მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა მართლშეგნების დონის ამაღლებაში;

6) გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული;

7) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედობის შესახებ;

8) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამოც წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა; გამოვლენილი დანაშაულის, დაწყებული გამოძიების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს;

9) დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებებსა და შეტყობინებებზე;

10) შეასრულოს პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას;

11) მოძებნოს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც გამოძიებას და სასამართლოს ემალება, მოძებნოს უგზოუკვლოდ დაკარგული და სხვა პირები, რომელთა მოძებნაც მას კანონით ევალება;

12) აწარმოოს ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა ოპერატიულ-სამძებრო მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

13) მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას, ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად;

14) საგანგებო წესების ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს დადგენილი რეჟიმის, ხოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს — საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

15) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებრივად საშიში ქმედობისა და უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულს, უმწეო მდგომარეობაში, აგრეთვე, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

16) მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივების და სტანდარტების დაცვას, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალებები, გასცეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობები;

17) უზრუნველყოს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ძლიერმოქმედი ქიმიურ და შხამიან ნივთიერებათა, თავდაცვის ინდივიდუალური საშუალებების შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნის კანონით დადგენილი რეჟიმის, ტირების, სასროლეთების და სხვა ობიექტების გახსნისა და საქმიანობის წესების დაცვა (ამ ობიექტების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი);

18) საჰაერო ხომალდის, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის მგზავრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეამოწმოს გადასატანად წარმოდგენილი მგზავრის ხელბარგი და ბარგი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ჩაატაროს მგზავრის პირადი შემოწმება;

19) კანონით დადგენილი წესით გასცეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პირადობის მოწმობა. უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ საპასპორტო რეჟიმის და სატრანზიტო მგზავრობის წესების დაცვა;

20) აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

21) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ;

22) კანონით გათვალისწინებული წესით სამედიცინო დაწესებულებაში მიიყვანოს ქრონიკული ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ვენერიული სენით ან შიდსით დაავადებული პირი, რომელიც თავს არიდებს ამ დაწესებულებაში გამოცხადებას;

23) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

24) სხვა სახელმწიფოებრივ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს მაწანწალობისა და ბავშვთა უმეთვალყურეობის თავიდან აცილებაში;

25) უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და გადაყვანა;

26) აღასრულოს მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ;

27) ხელშეკრულების საფუძველზე დაიცვას მესაკუთრის ქონება;

28) განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დასაცავად, ვიდრე ქონება არ გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს, ან მესაკუთრეს;

29) უზრუნველყოს ნაპოვნი ან პოლიციაში ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობების და სხვა ქონების დაცვა-შენახვა. მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისთვის მათი გადაცემის ან დადგენილი წესით რეალიზაციისათვის;

30) დადგენილი წესით აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს იმ პირის შესახებ, რომელიც სისტემატურად ლოთობს, არასამედიცინო მიზნით იყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან სხვა გამაბრუებელ საშუალებებს, იმ პირთა შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის დაავადებულია გადამდები ვენერიული სენით ან შიდსით;

31) განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება საფრთხეშია;

32) უზრუნველყოს მიტინგების, დემონსტრაციების, მოქალაქეთა მშვიდობიანი მასობრივი ღონისძიებების უსაფრთხოება;

33) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას დეპუტატები, დეპუტატობის კანდიდატები, მათი ნდობით აღჭურვილი პირები, სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირები, საარჩევნო კომისიები, თუ მათ კანონიერ საქმიანობას წინააღმდეგობა ექმნება;

34) დაეხმაროს სახანძრო და მაშველ სამსახურებს ხანძრის თავიდან აცილების, ჩაქრობის, აგრეთვე, სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს;

35) დაეხმაროს სამხედრო ნაწილებს და დაწესებულებებს დაკარგული და გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებებისა და საგნების მოძებნაში;

36) დახმარება აღმოუჩინოს ბუნების დაცვის და სანაპირო სამსახურებს კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში;

37) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკონტროლოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შეზღუდვების შესრულება, რომლებიც დაწესებული აქვთ: თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლებულ პირებს; პირებს, რომლებიც სასჯელის მოხდისაგან პირობით არიან გათავისუფლებული; პირებს, რომელთაც გადაედოთ განაჩენის აღსრულება;

(გაგრძელება მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი
პოლიციის შესახებ

(გაგრძელება)

38) წერილობით ან ზეპირად ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში მოქალაქეს, რომლის მიმართ პოლიციის მიერ უკანონოდ იქნა გამოყენებული იძულების ღონისძიებები. მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები პოლიციის არამართლზომიერი მოქმედების შედეგად დაზარალებული მოქალაქის, ორგანიზაციის მორალური ან ქონებრივი რეაბილიტაციისათვის.

შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

მუხლი 9. პოლიციის უფლებები

პოლიციას მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს:

1) მოსთხოვოს მოქალაქეს დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

2) შეამოწმოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთები, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შესახებ;

3) სისხლის სამართლის საქმის ან ადმინისტრაციული გადაცდომის მასალებთან დაკავშირებით პოლიციაში გამოიძახოს მოქალაქე, ჩამოართვას ახსნა-განმარტება, მოსთხოვოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, კანონით დადგენილი წესით იძულებით წარადგინოს პოლიციაში მოქალაქე, თუ იგი არასაპატიო მიზეზით თავს არიდებს გამოცხადებას;

4) შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

5) წარადგინოს და პოლიციაში არაუმეტეს რვა საათისა ამყოფოს სამართალდამრღვევი მისი პიროვნების დადგენისა და ნივთების დათვალიერების მიზნით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ შეადგინოს სათანადო ოქმი;

6) ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება;

7) დადგენილი წესით დააკავოს პირი, რომელსაც მიესაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან პირი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და თვითნებურად მიატოვა სამუშაო ადგილი;

8) სამედიცინო დაწესებულებაში წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, მოახდინოს გამოსაფხიზლებლად მიყვანილი პირის პირადი გასინჯვა, შეინახოს მისი ნივთები, დოკუმენტები, რის შესახებაც შეადგინოს სათანადო ოქმი;

9) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;

10) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და დაცვის კონტროლი;

11) ეკონომიკის სფეროში დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საკმაო მონაცემების არსებობისას სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შევიდეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შენობა-ნაგებობებში, მიწის ნაკვეთზე მათი დაქვემდებარების და საკუთრების ფორმის მიუხედავად (საზღვარგარეთის ქვეყნის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის გარდა), აგრეთვე, ნაგებობებში, რომელსაც მოქალაქეები იყენებენ სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობისათვის, მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით ჩაატაროს სამრეწველო, სასაწყობო, სავაჭრო ან სხვაგვარი ნაგებობის, სატრანსპორტო საშუალების და სხვა საცავის დათვალიერება, შეამოწმოს ქონების შეძენის კანონიერება; კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე თანამდებობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირისაგან მიიღოს საჭირო ცნობები და განმარტებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლითა და წესით ამოიღოს საჭირო დოკუმენტები მატერიალურ და ფულად ფასეულობებზე, საკრედიტო და საფინანსო ოპერაციებზე, აგრეთვე ნედლეულისა და პროდუქციის საკონტროლო ნიმუშები; მოითხოვოს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებიდან ოპერატიული და საანგარიშო ინფორმაცია საკრედიტო-ფულადი ოპერაციებისა და საგარეო-ეკონომიკური გარიგების შესახებ; მოითხოვოს საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შემოწმების, ინვენტარიზაციის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ჩატარება.

დანაშაულის გახსნის, დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად, კანონით გათვალისწინებული კონფისკაციის ან სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე დალუქოს სალარო, ფულისა და მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობის შენახვის ადგილი;

12) დანაშაულის აღკვეთის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მიზნით, ან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მობინადრეთა თანხმობის გარეშე დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ბინაში, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების კუთვნილ არასაცხოვრებელ სათავსოებში, მიწის ნაკვეთებში (აუცილებლობის შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებითაც), ექსტერიტორიული და სპეციალური სარეჟიმო სტატუსის მქონე არასაცხოვრებელი სათავსოებისა და მიწის ნაკვეთების გარდა, რის შესახებაც არაუგვიანეს 24 საათისა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს პროკურორს;

13) აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია და სხვა სახის აქციის ჩატარება, აგრეთვე, მიმდინარე მშვიდობიანი სახის აქციის მსვლელობა, თუ იგი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას, პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;

14) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის, ცალკეულ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მიზნით ჩაკეტოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

15) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს და დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალება, შეამოწმოს მძღოლის მართვის მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები; მიიღოს ზომები სამართალდარღვევის აღსაკვეთად;

16) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არ გააჩნია მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა ან რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაშია; პოლიცია მოვალეა ადგილზე შეამოწმოს ეს პირი და დაუყოვნებლივ წარადგინოს იგი სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში სიმთვრალის ხარისხის დასადგენად;

17) მისცეს ნებართვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შეიძინონ, შეინახონ, გადაიტანონ ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, აქტიური თავდაცვის საშუალებები და ნაკეთობანი, გაზის პისტოლეტები, გაზიანი ბალონები, ელექტროშოკური მოწყობილობები და სხვა. გააუქმოს ეს ნებართვა, თუ მისი მფლობელები არ ასრულებენ მათი ხმარების დადგენილ წესს და აუცილებლობის შემთხვევაში ჩამოართვას მათ აღნიშნული საგნები, საშუალებები და ნაკეთობანი;

18) კანონით დადგენილ შემთხვევებში გასცეს იარაღის სარემონტო, პიროტექნიკური საწარმოების, სასროლეთების, ტირების, ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით მოვაჭრე მაღაზიების გახსნის ნებართვა; გააუქმოს ასეთი ნებართვა, თუ მისი მფლობელი არღვევს დადგენილ წესს;

19) შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადების, დამნაშავის დევნის, დაკავებულის პოლიციაში წარმოსადგენად მძღოლის თანხმობით ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით (დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის და სპეციალური ტრანსპორტის გარდა);

20) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას დანაშაულის შესახებ საკმაო მონაცემების არსებობის საფუძველზე საბაჟო სამსახურთან ერთობლიობით ჩაატაროს მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება;

21) სამხედრო პატრულის არყოფნის შემთხვევაში დააკავოს სამხედრო მოსამსახურე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის. გადასცეს დაკავებული სამხედრო მოსამსახურე სამხედრო კომენდანტს, სამხედრო ნაწილის მეთაურს ან სამხედრო პროკურატურას;

22) საგანგებო და სამხედრო მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით პოლიცია დასახლებულ პუნქტებში და საგზაო მაგისტრალებზე ატარებს რეიდებს. რეიდის ჩატარების დროს პოლიციას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების და სპეციალური ტრანსპორტის გარდა); მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, მართვის უფლების მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი, საგზაო ფურცელი, ზედდებული; სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის შემოწმება და ჩხრეკა; მოქალაქის პირადი შემოწმება ან პირადი ჩხრეკა;

23) უსასყიდლოდ მიიღოს საწარმოების, ორგანიზაციების და მოქალაქეებისაგან ინფორმაცია, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

24) კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

25) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსასჯელის), ამოუცნობი გვამების რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ფოტო-კინო-აუდიო და ვიდეო გადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება;

26) დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დაკავების მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით.

თავი 3. პოლიციის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

მუხლი 10. პოლიციის თანამშრომლის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძველი და ფარგლები

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ — წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეთა და პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

სპეციალური საშუალების სახე, ფიზიკური იძულების ინტენსივობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 11. ფიზიკური იძულების გამოყენება

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავისა და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დასაკავებლად, თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

მუხლი 12. სპეციალური საშუალებების გამოყენება

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებთან ბრძოლის მიზნით პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სამსახურებრივი ძაღლი და ცხენი.

1) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება — დანაშაულის და საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს პოლიციის თანამშრომელს, ან ცდილობს გაქცევას; დაკავებულის და დაპატიმრებულის ბადრაგირებისას; თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს თავის თავს და გარეშე პირებს;

2) რეზინის ხელკეტი — მოქალაქეებზე, პოლიციის თანამშრომლებზე და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ მათი მხრივ ადგილი აქვს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის ჯიუტ დაუმორჩილებლობას საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად.

3) ცრემლსადენი გაზი — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე, დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, მან დასტოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც იგი თავს აფარებს;

4) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა — სახელმწიფო და საზოგადოებრივ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, პოლიციის თანამშრომელზე და მოქალაქეზე თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პირის დასაკავებლად, შენობა-ნაგებობიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დამნაშავის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის გამოსაძევებლად, მძევლების გასათავისუფლებლად;

5) ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება — სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა — გაჩერებულიყო;

6) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;

7) წყალსატყორცნი და ჯავშანმანქანა — საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ობიექტებზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა გაჩერებულიყო, შეიარაღებულ დამნაშავეთა დასაკავებლად;

8) სპეციალური საღებავი — დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად;

9) სამსახურებრივი ძაღლი — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დევნისა და დაკავებისას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ბადრაგობისას, მოქალაქეზე ან პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

10) სამსახურებრივი ცხენი — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დევნისა და დაკავებისას, საპატრულო-საგუშაგო სამსახურის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ აცნობოს ფიზიკური ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირის დაჭრის ან დაზიანების შესახებ უშუალო უფროსს და პროკურორს.

აკრძალულია ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვანობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ახდენენ, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და პოლიციის მუშაკთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

პოლიციის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სრულ ნუსხას, მათი შენახვის, ტარების და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აკრძალულია პოლიციის თანამშრომლის მიერ ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალების გამოყენება, რომლებიც ადამიანთა მძიმე დასახიჩრებას იწვევენ, დაკავშირებულნი არიან გაუმართლებელ რისკთან ან იკრძალებიან საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო აქტებით.

მუხლი 13. პოლიციის თანამშრომლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივი დანიშნულებისათვის გაცემული ცეცხლსასროლი იარაღი.

პოლიციის თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა.

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

1) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

2) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

3) მძევლების გასათავისუფლებლად;

4) დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;

5) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას თუ ის წინააღმდეგობას უწევს პოლიციის თანამშრომელს ან შეეცდება გაქცევას;

6) მოქალაქეთა ბინებზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას;

7) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;

8) განგაშის სიგნალის მიცემის ან დამხმარე ძალის გამოძახებისას.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება:

1) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

2) ტრანსპორტის გამოყენებით ამ სატრანსპორტო საშუალებიდან დაკავებულის ან პატიმრის გაქცევისას;

3) დამნაშავის დაკავების ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

4) დაკავებულის ან დაპატიმრებულის შეიარაღებული გაქცევისას;

5) დაკავებულის ან დაპატიმრებულის სატრანსპორტო საშუალებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის და ტყიან ადგილებში გაქცევისას.

აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, რასაც შესაძლოა სხვა პირთა დაზიანება მოჰყვეს, ცეცხლსაშიშ და აფეთქებადსაშიშ ადგილებში; ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი ახდენენ შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლეს.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი მოვალეა, ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსს და პროკურორს.

პოლიციის შეიარაღებაში არსებულ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო აქტებით.

თავი 4. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

მუხლი 14. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები და ამოცანები

დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ახორციელებს ღია და ფარული საშუალებებით და მეთოდებით.

აკრძალულია ისეთი სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც:

1) საფრთხეს უქმნიან პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;

2) საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებას და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

3) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან დანაშაულის და სხვა სახის სამართალდარღვევის ჩასადენად.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც დროებით ზღუდავს პიროვნების პირადი ცხოვრების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების და სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოებას, გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული საგნები, დოკუმენტები და ინფორმაცია გამოიყენება:

1) სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა მოსაპოვებლად;

2) დანაშაულის გასახსნელად და თავიდან ასაცილებლად;

3) იმ ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად, რომლებიც საფუძვლად დაედება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებას.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები.

თავი 5. პოლიციის ორგანიზაცია

მუხლი 15. პოლიციის სისტემა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს ორი სახის პოლიცია: რესპუბლიკის და მუნიციპალური.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია, რომლის შემადგენლობაში შედის აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციები, თავის მოვალეობებს ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე; მუნიციპალური (თვითმმართველობის) პოლიცია — შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრებში.

პოლიციის სამსახურები საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებენ სამმართველოების და განყოფილებების სახით. რეგიონებში და ადგილებზე პოლიციის სამსახურები სტრუქტურულად შედიან შინაგან საქმეთა რაიონულ, საქალაქო, რეგიონალურ სამმართველოებსა და განყოფილებებში.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია ფუნქციონირებს ცენტრალიზებული წესით.

მუნიციპალური პოლიცია არის ორმაგ დაქვემდებარებაში;

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციის სტრუქტურული დანაყოფები შედიან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და შესაბამისად იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომი-

(დასასრული მე-5 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი
პოლიციის შესახებ

(დასასრული)

ური რესპუბლიკების მინისტრების უშუალო დაქვემდებარებაში.

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები.

პოლიციის ორგანიზაციასა და სტრუქტურას განსაზღვრავს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 16. მუნიციპალური პოლიცია

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოებს საჭიროების შემთხვევაში შინაგან საქმეთა ადგილობრივ განყოფილებებთან (სამმართველოებთან) შეუძლიათ შექმნან მუნიციპალური პოლიციის ქვედანაყოფი.

მუნიციპალური პოლიცია ფინანსდება დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. მუნიციპალური პოლიციის თანამშრომელთა საშტატო რაოდენობას, შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვის, მატერიალურ-ტექნიკური და სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებს წყვეტს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანო.

ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით მუნიციპალურ პოლიციას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები.

მუნიციპალური პოლიციის თანამშრომელი ირიცხება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატში და მასზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები, შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებები (სამმართველოები) ინსპექტირებას და მეთოდურ დახმარებას უწევენ მუნიციპალურ პოლიციას.

მუნიციპალური პოლიციის ქვედანაყოფის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანო საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებთან შეთანხმებით.

მუხლი 17. მუნიციპალური პოლიციის ამოცანები

მუნიციპალური პოლიციის ამოცანებია:

1) რესპუბლიკის პოლიციასთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების დაცვაში ერთობლივი მონაწილეობა;
2) სახელმწიფო ნაგებობების, კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვა;
3) თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესრულების კონტროლი;
4) ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა დაცვა და ბადრაგირება;
5) გაზსადენი, ნავთობსადენი, წყალსადენი მაგისტრალების, ელექტროგადამცემი ხაზების, კავშირგაბმულობის ხაზების დაცვა;
6) სანიტარიული, საკარანტინო და საეპიზოოტიო ღონისძიებაში მონაწილეობა;
7) დახმარება რაიონის (ქალაქის) პოლიციისათვის დანაშაულობასა და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლაში.

მუნიციპალური პოლიცია არის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების, რაიონის (ქალაქის) შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

მუხლი 18. შინაგან საქმეთა სხვა ორგანოების მუშაკთა მონაწილეობა პოლიციის ამოცანების შესრულებაში

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანების შესრულებაში შეიძლება ჩაებნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელთა მსმენელები, ამ სასწავლებელთა ატესტირებული თანამშრომლები და სხვა.

ამ პირებზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია პოლიციის საქმიანობაში

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო:

— განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
— ახორციელებს პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებს;
— კოორდინაციას და სამსახურებრივ კონტროლს უწევს პოლიციის ორგანოებისა და ქვედანაყოფების საქმიანობას, ახორციელებს მუნიციპალური (თვითმმართველობის) პოლიციის ინსპექციას;
— სამეცნიერო-საკონსულტაციო, მეთოდიკურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს პოლიციას;
— მართლწესრიგის დაცვის მიზნით ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების პოლიციის თანამშრომლებს აგზავნის სამსახურის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, მასობრივი არეულობებისა და საგანგაშო შემთხვევებისას რესპუბლიკური და რეგიონათშორისი ღონისძიებების განხორციელებისას მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით;
— საგანგებო, სამხედრო და სხვა ექსტრემალური მდგომარეობის პირობებში უზრუნველყოფს პოლიციის პირადი შემადგენლობის გადაყვანას სამსახურის განსაკუთრებულ რეჟიმზე;
— აყალიბებს და უძღვება საცნობარო-საინფორმაციო ბანკს;
— ამყარებს კავშირებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას სხვა სახელმწიფოთა საპოლიციო ორგანოებთან;
— ხელმძღვანელობს პოლიციის კადრების მომზადებას;
— აკონტროლებს პოლიციის თანამშრომელთა მიერ დადგენილი წესისა და დისციპლინის დაცვას;
— შეიმუშავებს პოლიციაში სამსახურის ერთიან მოთხოვნებს, პირობებსა და წესს, საშტატო ერთეულების ტიპობრივ ნორმატივებს;
— ადგენს პოლიციაში საქმის წარმოების ორგანიზაციის წესს და პირობებს;
— წარმოადგენს პოლიციის ინტერესებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში;
— თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს პოლიციის პირადი შემადგენლობისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების, წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს.

თავი 6. სამსახური პოლიციაში, პოლიციის კადრები

მუხლი 20. პოლიციის თანამშრომელი

პოლიციის თანამშრომელი არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი.

პოლიციის თანამშრომლის ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია გაიაროს ატესტაცია. დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, მას ენიჭება სპეციალური წოდება და უფლება ატაროს სპეციალური ფორმის ტანსაცმელი და სამსახურებრივი იარაღი.

პირი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ან ხელშეკრულებით მუშაობს პოლიციაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლად. მისი სამართლებრივი სტატუსი, უფლებები და მოვალეობები, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 21. პოლიციის სამსახურში მიღების წესი

პოლიციის სამსახურში მიიღება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, არანაკლებ 18 და არაუმეტეს 35 წლისა, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, პიროვნული თვისებებით, განათლებით (არანაკლებ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო), ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

პოლიციის სამსახურში არ მიიღებიან:

1) ნასამართლობის მქონე პირი;
2) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით და შიდსით დაავადებული პირი;
3) პირი, რომელიც სასამართლო წესით ქმედითუუნაროდ არის ცნობილი.

პოლიციის სამსახურში მიღებული პირი თავისუფლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან, იხსნება სამხედრო აღრიცხვიდან და ირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში.

პირი პოლიციის რიგოსან და უმცროს მეთაურთა თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 22. პოლიციაში სამსახურის გავლის წესი

პოლიციაში სამსახურის გავლის წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აკრძალულია პოლიციის თანამშრომლის მიერ გაფიცვის მოწყობა ან მასში მონაწილეობა.

აკრძალულია თანამშრომლის მიერ სამსახურთან ერთად კომერციულ და სხვა ანაზღაურებად საქმიანობაში მონაწილეობა, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 23. პოლიციის სამსახურიდან დათხოვნის წესი

პოლიციის თანამშრომელს სამსახურიდან დაითხოვენ:

1) განსაზღვრული ასაკის მიღწევისას (60 წელი) ან ნამსახურობის გამო (20 წელი) პოლიციაში სამსახურის გავლის წესის მიხედვით;
2) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადებისას, რომლის გამოც აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;
3) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;
4) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის;
5) სამსახურებრივი შეუსაბამისობის გამო;
6) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის;
7) შტატების შემცირებისას;
8) სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის, პროკურატურის ორგანოებში, სასამართლოში არჩევის ან დანიშვნისას;
9) საკუთარი სურვილით;
10) ფიცის გატეხვის, პოლიციის თანამშრომლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის;
11) დანაშაულის ჩადენისათვის, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, საქართველოს რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის, ქალაქის (რაიონის) შინაგან საქმეთა განყოფილებების (სამმართველოების) უფროსები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 24. პოლიციის კადრების მომზადება

პოლიციის კადრების მომზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში.

შინაგან საქმეთა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში მიიღება ჩვიდმეტ წელს მიღწეული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც უპასუხებს პოლიციის თანამშრომლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ამ სასწავლებლებში მიიღება დადგენილი წესით.

თავი 7. პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 25. პოლიციის საქმიანობაში ჩაურევლობა

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს. აშკარად უკანონო ბრძანების ან მითითების მიღებისას პოლიციის თანამშრომელი ხელმძღვანელობს კანონით.

აშკარად უკანონო ბრძანების ან მითითების შესრულება პოლიციის თანამშრომელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

აკრძალულია პოლიციის კანონიერ საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აკრძალულია პოლიციის თანამშრომლისათვის ამ კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება.

მუხლი 26. პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისათვის.

პოლიციის თანამშრომლის და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობას, ქონებას, პატივსა და ღირსებას იცავს სახელმწიფო.

პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფა, წინააღმდეგობის გაწევა, მისი სიცოცხლის ხელყოფა, ან სხვა ქმედობა, რომელიც ხელს უშლის პოლიციის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაში, ისჯება კანონით.

მუხლი 27. პოლიციის თანამშრომლის უფლება სასამართლო დაცვაზე

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივროს ბრძანება მისი პოლიციიდან დათხოვნის შესახებ.

მუხლი 28. პოლიციის თანამშრომლის ქმედობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

პოლიციის თანამშრომლის უკანონო ქმედობით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის თანამშრომლის მართლზომიერი ქმედობით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს სახელმწიფო კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 29. პოლიციის თანამშრომლის ფორმა

პოლიციის თანამშრომელი ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ფორმის ტანსაცმელს;

პოლიციის თანამშრომელს თავისი უფლებამოსილებების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მოწმობა და სპეციალური ჟეტონი.

მუხლი 30. წახალისება მუშაობაში წარმატებისათვის

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობისა და სხვა მიღწევებისათვის პოლიციის თანამშრომლის წასახალისებლად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

1) მადლობის გამოცხადება;
2) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
3) დამატებითი შვებულების მიცემა 5 დღე-ღამის ხანგრძლიობით;
4) მადლობის სიგელით დაჯილდოება;
5) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
6) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
7) თანამდებობით გათვალისწინებულ წოდებაზე ერთი საფეხურით მაღალი სპეციალური წოდების მინიჭება;
8) წინათ დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
9) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობის და მამაცობისათვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

პოლიციის თანამშრომლის წახალისების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდება.

მუხლი 31. პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობა

პოლიციის თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულისათვის პასუხს აგებს საერთო წესით.

დანაშაულისათვის დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პოლიციის თანამშრომელი თავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინგენტისაგან იზოლირებულად.

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციის თანამშრომლის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელები:

1) შენიშვნა;
2) საყვედური;
3) სასტიკი საყვედური;
4) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
5) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
6) სპეციალური წოდებიდან ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;
7) დისციპლინური პატიმრობა;
8) შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნა.

დისციპლინური სახდელების შეფარდების და მოხსნის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდება.

მუხლი 32. პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვა

სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლის სოციალურ დაცვას:

1) პოლიციის თანამშრომლისათვის დადგენილია ორმოცდაერთსაათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე;
2) პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივ და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, დანამატს წელთა ნამსახურობისათვის, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატი დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელო, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები და კომპენსაციები;
3) პოლიციის თანამშრომლის წლიური შვებულების ხანგრძლივობა 30 კალენდარული დღეა, თუ მას აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის 10 წლამდე სტაჟი. 35 კალენდარული დღე — 10-დან 15 წლამდე. 40 კალენდარული დღე — 15-დან 20 წლამდე. 45 კალენდარული დღე — 20 წელზე მეტი მუშაობის სტაჟისათვის;
4) პოლიციის თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. პოლიციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის ან მისი ახლობლისათვის მიყენებული ზარალი უნაზღაურდება სრული მოცულობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
5) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო;
6) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით ეძლევა კომპენსაცია ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5-წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით;
7) პოლიციის თანამშრომელს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან საცხოვრებელი ბინა ან სახლი და რიგგარეშე ედგმება ტელეფონი. ბინის კომუნალური მომსახურების ქირას, ტელეფონით სარგებლობის გადასახადს იგი იხდის ორმოცდაათპროცენტიანი შეღავათით;
8) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით პოლიციის თანამშრომელი სარგებლობს შეღავათებით მიწის რენტის გადასახადის, კოოპერატიული ან ინდივიდუალური ბინით მშენებლობისათვის შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტის მიღების უფლებით;
9) პოლიციის თანამშრომელს სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან საცხოვრებელი ბინის (სახლის) გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში ეძლევა სრული კომპენსაცია დროებითი საცხოვრებელი ბინის (სახლის) ქირის გადასახდელად;
10) პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს საქალაქო, საგარეუბნო და ადგილობრივი მიმოსვლის ყველა სახეობის სახელმწიფო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა);
11) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მოშლის გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პენსიის მიღების უფლება. მას და მისი ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება;

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის ასეთივე უფლება უნარჩუნდებათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლის ოჯახის წევრებს;

12) პოლიციის თანამშრომელს პენსია ენიშნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნამსახურეობის ვადის მიღწევის გამო პენსიაზე გასვლის დროს ან პროფესიული დაავადების შემთხვევაში, აგრეთვე, დადგენილი ასაკის შესრულების ან ინვალიდობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ პოლიციის თანამშრომელს უნარჩუნდება ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები;
13) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსახურებრივ მივლინებაში მყოფ პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს სამივლინებო მოწმობის საფუძველზე ურიგოდ შეიძინოს სამგზავრო ბილეთი ყველა სახის ტრანსპორტზე და ურიგოდ შესახლდეს სასტუმროში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტებით.

თავი 8. პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 33. საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონის და ქალაქის პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონის და ქალაქის პოლიციის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მოქალაქეებისაგან ხელშეკრულების საფუძველზე მათთვის გაწეული მომსახურებისათვის შემოსული სახსრებიდან.

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტიდან სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროების ანგარიშზე დამატებით გადაირიცხება პოლიციის ამონაგები — დანაშაულებრივი ქმედობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის და ამოღებული ადმინისტრაციული სახდელების 15 პროცენტი.

რესპუბლიკის პოლიციას, მის ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს შენობით, სადგომებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფენ სახელმწიფოებრივი მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, ხოლო სატრანსპორტო პოლიციის ორგანოებს, ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს — შესაბამისი სატრანსპორტო უწყებები და ორგანოები.

ფორმის ტანსაცმლით, სატაბელო იარაღით, საბრძოლო მასალით, სპეციალური საშუალებებითა და ტექნიკით რესპუბლიკის, რაიონისა და ქალაქის პოლიციას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავი 9. პოლიციის საქმიანობაში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვის გარანტიები

მუხლი 34. პოლიციის ქმედობის გასაჩივრების უფლება

მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს პოლიციის ქმედობა პოლიციის ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურორთან ან სასამართლოში.

მუხლი 35. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პოლიციაში

პოლიცია განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს კანონიერების დარღვევებზე.

პოლიციაში შემოსული განცხადება და საჩივარი განიხილება არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პოლიციაში შემოსული განცხადება ან საჩივარი დაუყოვნებლივ განიხილება.

ანონიმური განცხადება და საჩივარი არ განიხილება.

მუხლი 36. კონტროლი პოლიციის საქმიანობისადმი

პოლიციის საქმიანობას აკონტროლებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

პოლიციის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოები არ ერევიან მის ოპერატიულ-სამძებრო, საპროცესო საქმიანობაში ან ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმის წარმოებაში.

მუხლი 37. პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვის ზედამხედველობა

პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვის ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის
თავმჯდომარე ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის
სპიკერი ვ. გოგუაძე.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის (არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზა, წარმოებისაგან მოწყვეტით) სამედიცინო სასწავლებლებში შემდეგ სპეციალობებზე:

თბილისის I სამედიცინო სასწავლებელი
(ხოშარაულის ქ. №6, ტელ: 34-15-48)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშ. სკ. ბაზა);
2. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა);
3. სამეანო საქმე — ქართული სექტორი (არასრული და საშ. სკოლის ბაზა);

II. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა);
2. სამეანო საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა).

თბილისის II სამედიცინო სასწავლებელი
(ქავთარაძის ქ.№6, ტელ: 30-14-08)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშ. სკოლის ბაზა);
2. მედდის საქმე (ბავშვთა დაწესებულებების მედდა) — ქართული და რუსული სექტორები (საშუალო სკოლის ბაზა);
3. სამეანო საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

II. ფასიანი განყოფილება:
1. სამეანო საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა);
2. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა).

თბილისის III სამედიცინო სასწავლებელი
(ლესელიძის ქ. №25, ტელ: 72-27-57)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. სამკურნალო საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშ. სკ. ბაზა);
2. ჰიგიენა, სანიტარია, ეპიდემიოლოგია (სანიტარული საფერშლო) — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა);
3. ფარმაცია — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა);
4. ორთოპედიული სტომატოლოგია — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. სამკურნალო საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშ. სკ. ბაზა);
2. ორთოპედიული სტომატოლოგია — ქართული სექტორი (საშ. სკოლის ბაზა);
3. ფარმაცია — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა);

სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი
(ჩიჩუას ქ. №56, 2-20-49)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული და აფხაზური სექტორები (საშ. სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზა).

ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი
(შაუმიანის ქ. №18, ტელ: 3-63-61)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა).

ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი
(კიევის ქ. №10, ტელ: 6-94-19)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშ. სკოლის ბაზა).

ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელი
(ჯანაშიას ქ. №3, ტელ: 6-16-62)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშ. და საშ. სკოლის ბაზა).

ოზურგეთის სამედიცინო სასწავლებელი
(მარქსის ქ. №10, ტელ: 6-33-72)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშ. სკოლის ბაზა);

გორის სამედიცინო სასწავლებელი
(სტალინის ქ. №3, ტელ: 2-47-10)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზა);

I. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო სკოლის ბაზა).

ფოთის სამედიცინო სასწავლებელი
(მწვანე მოლის ქ. №3, ტელ: 5-46-85)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

I. ფასიანი განყოფილება:
1. სამეანო საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა);
2. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშულო სკოლის ბაზა);
3. ფარმაცია — ქართული სექტორი (არასრული საშ. და საშუალო სკოლის ბაზა).

თელავის სამედიცინო სასწავლებელი
(ნადიკვარის ქ. №26, ტელ: 3-34-78)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

II. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშუალო და საშ. სკოლის ბაზა);
2. სამეანო საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

ბორჯომის სამედიცინო სასწავლებელი
(ვაშლოვანის შესახვევი №66, ტელ: 2-17-78)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

II. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (არასრული საშ. სკოლის ბაზა).

ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელი
(8 ივნისის ქ. №27, ტელ: 2-23-19)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის სამქე — ქართული და რუსული სექტორი (საშ. სკოლის ბაზა).

II. ფასიანი განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი
(რუსთაველის ქ. №105, ტელ: 2-14-93)

I. საბიუჯეტო განყოფილება:
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

II. ფასიანი განყოფილება;
1. მედდის საქმე — ქართული სექტორი (საშუალო სკოლის ბაზა).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო და საშუალო განათლება. სათანადო ფორმის განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს დოკუმენტი საშუალო და არასრული საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ფორმა 086 უ, 5 ფოტოსურათი (3X4). შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი.

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე: ქართული ენა (წერა, წაკითხული ტექსტის შინაარსი) - ქართული სექტორისათვის: ანატომია.

საშუალო სკოლის ბაზაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა - წერა (ქართული სექტორი), რუსული ენა და ლიტერატურა - წერა (რუსული სექტორი), აფხაზური ენა და ლიტერატურა — წერა (აფხაზური სექტორი).

2. ბიოლოგია — ზეპირი, მედდის საქმე, ბავშვთა დაწესებულებების მედდის, სამკურნალო საქმის, სამეანო საქმის და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სპეციალობაზე შემსვლელთათვის.

3. ქიმია — ზეპირი, ფარმაციის, სანიტარული საფერშლო და ორთოპედიული სტომატოლოგიის სპეციალობებზე შემსვლელთათვის.

4. საბიუჯეტო განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები დაკმაყოფილებული იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

5. ფასიან განყოფილებაზე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების წესით, ყოველწლიურ გადასახადს სწავლების თაობაზე განსაზღვრავს სასწავლებლის ადმინისტრაცია.

საბუთების მიღება 1 ივნისიდან 20 ივლისამდე, ყოველდღე 15-დან 19 საათამდე (კვირის გარდა), მისაღები გამოცდები 20 ივლისიდან. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის მიმღებ კომისიებს.

ყველა მსურველს!
თქვენი დანაზოგის 200%-დან 300%-მდე გაზრდას გთავაზობთ
საფინანსო-სატრასტო კომპანია
„კონტინენტ-ინტერნეიშენელ“-ი.

მიიღება როგორც კუპონები, ასევე მანეთები.
პასპორტის ქონა სავალდებულოა.

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. 24/89.
„თბილქალაქპროექტ“-ის შენობა, კორპუსი III, სართული VIII
ტელეფონი: 96-43-71
ფაქსი: 96-43-71

საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტ-ინტერნეიშენელ“-ი აცნობებს ნავთობის კონცერნის „ჰერმესი“-ს აქციონერებს, რომ 1 000 მანეთიანი აქციების საკურსო ღირებულება დღეისათვის შეადგენს 3400 მანეთს. ყველას, ვისაც ჯერ არ მიუღია აქცია გთხოვთ მოგვმართოთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

---

28 მაისს თბილისის მუსიკალური კულტურული ცენტრის დარბაზში

(დ. აღმაშენებლის გამზ. 125) შესდგება კონცერტი, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის დაბადების დღეს. მისი სახელობის ორკესტრი ჯარჯი ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით შეასრულებს მეოთხე «ტეის» სიმფონიას.

დასაწყისი 17 საათზე.

ფირმა «ინტერსერვისი» რელუგალარუ! ლად აწყობს ტურისტულ და ბიზნეს მოგზაურობებს
ავტობუსით სირიაში (ქ. ალეპო). სრული 4 დღე სირიაში, 3 დღე თურქეთში, 3 - ვარსკვლავიანი სასტუმრო ორჯერადი კვებით. ფასი 150-200 000 მანეთი.
მოგვმართეთ: თბილისი, სპორტის სასახლის სალაროები: ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე.
ტელ: 36-00-31
36-21-03
62-47-70,
29-11-00
19 საათიდან.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს
ო. თაქთაქიშვილის სახელობის

მე-13 სამუსიკო სკოლა

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა, კლარნეტი, გიტარა.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. განცხადება
2. ორი ფოტოსურათი, ზომა 3X4
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. დაბადების მოწმობის ასლი
5. ცნობები მშობლების საქმიანობის შესახებ
6. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან
7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ

საფორტეპიანო განყოფილებაზე მიიღებიან 6-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვები, ხოლო საორკესტრო განყოფილებაზე — 6-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვები.

საბუთების მიღება იწარმოებს 17 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით 10-დან 18 საათამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 9 ივნისიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ხელოვნების კოლეჯის დირექციას ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10-დან 18 საათამდე.

მისამართი: დიდი დიღომი, I მ. რ-ნი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №41-ა, ტელ: 51-89-68.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს

ხელოვნების კოლეჯი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის I-დან მე-9-ე კლასის ჩათვლით.

კოლეჯში სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. განცხადება
2. ორი ფოტოსურათი. ზომა 3X4
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ
5. დაბადების მოწმობა
6. ცნობები მშობლების საქმიანობის შესახებ
7. მაღალ კლასებში შემომსვლელთათვის ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან.

ხელოვნების კოლეჯში ჩარიცხული მოსწავლეები გაივლიან ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებსაც. კოლეჯში სწავლების ვადა II წელია.

კოლეჯის კურსდამთავრებული იღებს განათლების ორ მოწმობას. ერთს — განათლების სამინისტროს მიერ — საშუალო განათლების ატესტატს, ხოლო მეორეს — კულტურის სამინისტროს მიერ — ხელოვნების კოლეჯის დამთავრების დიპლომს.

კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა ჩააბაროს გამოცდები ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

მაღალ კლასებში შემსვლელები აბარებენ გამოცდებს სპეციალურ საგნებში.

სამუსიკო სკოლიდან მე-2-ე და მე-8 კლასში გადმოსული მოსწავლეები აბარებენ გამოცდას სპეციალობაში.

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა ა.წ. 17 მაისიდან 12 ივნისამდე 10 სთ-დან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 14 ივნისიდან. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ხელოვნების კოლეჯის ადმინისტრაციას.

მისამართი: დიდი დიღომი, I მ. რ-ნი, გიორგი ბრწყინვალის ქ. №41-ა, ტელ: 51-89-68.

LGV გთავაზობთ
ბანკებს
გახდეთ ელექტრონული საგადასახადო სისტემა SPACARD-ის მომხმარებლები, რის შემდეგაც მნიშვნელოვანწილად გაიზრდება თქვენს მიერ წარმოებული საბანკო ოპერაციების სისწრაფე და ელვისებურად განახორციელებთ საანგარიშსწორებო-საგადასახადო ოპერაციებს. სისტემა უზრუნველყოფს:
– ბანკებს შორის საანგარიშსწორებო-საგადასახადო ოპერაციების წარმოებას ელექტრონული საფინანსო დოკუმენტების საშუალებით;
– საანგარიშსწორებო-საგადასახადო ოპერაციების წარმოებას ბანკსა და მის კლიენტებს შორის;
– ელექტრონული დოკუმენტების გარანტირებულ დაცვას ფალსიფიცირებისაგან, ან გახმაურებისაგან (მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის გამოიყენება სპეციალური პოლიგრაფიული ბარათები).
მომავლისათვის გათვალისწინებულია სისტემის გაერთიანება ისეთ საერთაშორისო საბანკო სისტემებთან, როგორიცაა SWIFT, NASDAQ და სხვ.
ჩვენ შეძენილი გვაქვს განსაკუთრებული უფლება ელექტრონული საგადასახადო სისტემა SPACARD-ის შეძენასა და გამოყენებაზე.

იურიდიულ და ფიზიკურ პირებს
ჩართეთ თქვენი კომპიუტერი გლობალურ კომპიუტერულ ქსელში, რის შემდეგაც შესძლებთ ყოველდღიურად მიიღოთ და გასცეთ კომერციული და სხვა სახის ინფორმაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და მონაწილეობა მიიღოთ კომპიუტერული ბირჟის საქმიანობაში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, კანდელაკის ქ. №27.
ტელ: 39-32-37, ფაქსი 37-42-04,
ტელექსი 212172 **СОФА.**

ბიზნეს-კურიერი

გზა დავულოცოთ!

კიდევ ერთი ახალი გაზეთი? გაიოცებს მკითხველი, მაგრამ, საოცარი ის არის, რომ ქართველ მეწარმეებს, დღემდე საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდათ. მაშ ასე, დღეს მკითხველი ახალი ტიპის გაზეთს მიიღებს — თქვენს წინაშეა თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის მიერ დაფუძნებული ბეჭდვითი ორგანოს „ბიზნეს-კურიერის“ პირველი ნომერი. როგორც მკითხველისადმი მიმართვაშია ნათქვამი, „ახალი გაზეთისათვის დღეს ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრება ძნელიც არის და პრესტიჟულიც. ავისა და კარგის გარჩევა კი თქვენზე უკეთესად ვინ იცის, მკითხველო... იმასაც კარგად ვამჩნევთ, რომ მეწარმეთა მხარდასაჭერად ჯერჯერობით ცოტა ვინმე თუ იღვწის. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი საქართველოში მეწარმეობის განვითარებას ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი. გვსურს გვერდში ამოგიდგეთ, ბიზნესმენებო!..“

გაზეთი ყოველკვირეულია. მთავარი რედაქტორია ზაურ ნაჭყებია.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ
Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от москвы) в новом доме.
Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა კონცერნ „საქკურორტთან“ ერთად აცხადებს მიღებას რეკრიაციის, კურორტებისა და უცხოური ტურიზმის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სპეციალობაზე.

საბუთები მიიღება 30 ივნისამდე
გასაუბრება-ჩარიცხვები ჩატარდება 1 ივლისიდან.
მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.
სწავლების ხანგრძლივობა 4 წელიწადი.

ყოველ წელს გათვალისწინებულია ორთვიანი სტაჟირება ავსტრიაში.

ცნობებისათვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული, ოთახი 1103. ბიზნესის უმაღლესი სკოლა.

ტელეფონები: 30-01-07, 30-40-73

არქსტუდია
გახსოვდეთ, რომ მხოლოდ კარგი არქიტექტორები და კარგი დამკვეთები ქმნიან კარგ არქიტექტურას.
არქიტექტურული ფირმა არქსტუდია ამუშავებს ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლის პროექტებს. დამკვეთის სურვილისამებრ ვანხორციელებთ 2 ან 3 სართულიანი სახლების მშენებლობას, ინტერიერის სამუშაოების შესრულებით.
მისამართი: პასტერის ქ. №3 ტელ: 95-15-63

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი, ვითარცა „ლილეო“...

მესტიის რაიონის დეპუტატს ლია ცინდელიანს, ვფიქრობ, დიდი წარდგენა არ სჭირდება.

ვიდრე ნდობის მანდატს გადასცემდნენ, სვანეთის ყოველი გოჯის ტკივილი და საწუხარი გათავისებული ჰქონდა. მაშინ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთის“ პრეზიდენტი იყო. მოუსვენარი და გაუტეხელი ბუნების ქალს ერთბაშად ბევრი საზრუნავი გაუჩნდა. სვანეთს ყოველთვის უჭირდა, მუდმივი დახმარება სჭირდება, სვანეთი ხომ მაინც სვანეთია. დეპუტატობამ ახალი შემართებით განაწყო იგი და ეკონომიკურად გალატაკებულ სახელმწიფოში მაინც ახერხებს სვანეთისთვის რაღაც გრამებისა და კაპიკების შოვნას.

„მწვანე შუქით“ არ უვლია... იყო ზურგში ქვების სროლაც, რამდენჯერმე ფიზიკური გამეტებაც კი, უსამართლოდ გამომცხვარი პასკვილების გემოც გაუსინჯავს.

მისთვის არ არსებობს ნახევარსიმართლის გზა. მართალია, ვითარცა „ლილეო“ მისი ცხოვრების კრედო საქმეა, მშობლიური კუთხის მოღონიერება და აყვავება... ასე მოსდგამს წინაპართაგან.

— ქალბატონო ლია, თქვენ საზოგადოება „სვანეთის“ პრეზიდენტი ხართ. ორიოდე სიტყვა მის შესახებ...

— ორგანიზაცია „სვანეთმა“ ხანმოკლე პერიოდში შეძლო პრაქტიკულად გადაეწყვიტა სვანეთის მოსახლეობისთვის არაერთი მტკივნეული სოციალური პრობლემა. მართალია, ტრანსპორტი იყო და რჩება გადაუჭრელ საკითხად, მაგრამ ჩვენი ორგანიზაციის დიდი მონდომებით მივაღწიეთ ზუგდიდი-ბეჩო-მაზერი და ზუგდიდი-უშგულის მიმართულებით რეისების დანიშვნას. სოფელ იდლიანსა და ჭუბერისათვის ტრანსპორტის სამინისტროს გამოვაყოფინეთ უაზ-469 მარკის ორი ახალი მანქანა, რაც მთავარია, ჩვენი ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად დაინიშნა შვეულმფრენის რეისები თბილისი-უშგული, თბილისი-ჭუბერი, თბილისი-ლენტეხი, სოხუმი-გენწვიში.

ჩვენივე ინიციატივით გაკეთდა დასაფრენი მოედნები და შევიძინეთ 75-ტონიანი ცისტერნა საწვავისთვის, აგრეთვე, გასამართი მოწყობილობანი. მივაღწიეთ თვითმფრინავის ბილეთების ფასების რამდენჯერმე დაკლებასაც, რაიონის 13 სოფლისათვის შევიძინეთ და ავიტანეთ 100 ათას მანეთად ღირებული 350 ტონა რკინის წყალსადენი მილები, იმ დროისათვის დიდი საქმე იყო 12 ათას მანეთად ღირებული ტრაქტორის შეძენა ზედა ზონის სოფლებისათვის.

ორგანიზაციას დიდი წვლილი მიუძღვის, რომ სოფელ ხაიშს ქართული სატელევიზიო გადაცემები მიეღო. ჩვენივე დახმარებით სოფელ ფარში გაიხსნა საშუალო სკოლა, ჭუბერში 100-ნომრიანი სატელეფონო კვანძი, მივიღეთ სასწრაფო დახმარების მანქანა, ამავე სოფლისათვის, რომ იტყვიან სიმწრით ვიშოვეთ 47 ათას მანეთად ღირებული ჩეხური რენტგენის აპარატურა, რომელიც, სამწუხაროდ, დაიკარგა. შევძელით სოფელ ლენჯერისათვის 7 ტონა ფქვილის ჩუქება, სოფელ მულახისათვის სატელეფონო კვანძის და რეტრანსლატორის გაკეთება, ამით აღდგა ტელეგადაცემები. ფინანსთა სამინისტროსთან კი მივაღწიეთ რაიონისათვის ასიათასობით მანეთის გადარიცხვას, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვანი დახმარება იყო.

— დეპუტატის მანდატმა რა ცვლილებები შეიტანა თქვენს მოღვაწეობაში?

აქტუალური ინტერვიუ

— თითქმის არაფერი. ორგანიზაცია „სვანეთში“ მოღვაწეობის დროს მე არც იურიდიულად, არც სამსახურეობრივად ვიყავი ვალდებული ეს საქმეები მეკეთებინა. ყოველივე ჩემივე მორალითა და პასუხისმგებლობით იყო განპირობებული, რადგან მე იმ კუთხის შვილი ვარ და სვანეთი ჩემი საფიქრალია.

რაც შეეხება დეპუტატის მანდატს. იგი არ მავალდებულებს ვიზრუნო სოციალურ პრობლემებზე; კანონით დეპუტატს მოეხსნა სოციალურ პრობლემებზე ზრუნვა და იგი მთლიანად ევალება ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. აღარ არსებობს ამომრჩეველთა განაწესები, დეპუტატი თავისუფალ მანდატს ფლობს. ყოველივე ამას შემთხვევით არ ვუსვამ ხაზს, არცთუ იშვიათად ამომრჩევლები ისეთ საკითხებზეც კი მომმართავენ, რომელთა აქ ჩამოთვლა უხერხულია.

უფლებამოსილების კუთხით დეპუტატის მანდატმა უზარმაზარი ცვლილება შეიტანა, დეპუტატობამდე, ფაქტობრივად, ვიბრძოდით ქუჩიდან, ახლა საშუალება მაქვს გამოვიყენო უმაღლესი ტრიბუნა.

ერთი სიტყვით, ახლა ხელ-ფეხი გახსნილი მაქვს. სწორედ ამიტომ დავთანხმდი კენჭისყრაზე და სწორედ ამიტომ გვინდოდა დეპუტატის მანდატი.

— სვანეთმა უმძიმესი და უმკაცრესი ზამთარი გადაიტანა. როგორც ცნობილია, თქვენ მაინც ბევრი რამის გაკეთება შეძელით...

— არჩევნების შემდეგ, როდესაც ამომრჩევლები თბილისში მაცილებდნენ — მითხრეს — ოღონდ შიმშილს გადაგვარჩინეთ, ფქვილი შემოგვიტანეთო...

ბატონი ედუარდ შევარდნაძის უდიდესი თანადგომითა და გულისხმიერებით მოვახერხეთ 1992 წლის დეკემბრის ბოლომდე დაახლოებით 1500 ტონა ფქვილის შეზიდვა. ამით იმხანად, მართლაც, ამოისუნთქა მოსახლეობამ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მესტიის რაიონი წელიწად-ნახევარზე მეტია, ბლოკირებულია; ყოველი სასურსათო მარაგის შეტანა რაიონში გარკვეული რისკის ფასად ხდება, არცთუ იშვიათად ტვირთი მანქანებიანად იკარგება, მაგრამ აქვე მინდა სასიამოვნო ფაქტს გავუსვა ხაზი. როგორც მოვახერხეთ, მოსახლეობისათვის ფქვილის შეღავათიან ფასებში მიწოდება. (კილოგრამი ნაცვლად 34 მანეთისა, — 10 მანეთად). მსგავსი შეღავათი სხვაგან არსად ყოფილა. გარდა ამისა, როგორც კი მივმართე, აგრომრეწვბანკმა გეგმიური კრედიტის ზევით 10 მილიონი სესხი მისცა მესტიის რაიონის კოოპერაციას და ამის შედეგად, შარშან ნოემბერშივე მოგვეცა საშუალება რეგიონში შეგვეტანა 15 ტონა მარგარინი, თევზი, ბურღულეული, საპონი, ასანთი, მარილი. უდიდესი პრობლემა შეიქმნა ხელფასებითა და სხვა ფულადი კომპენსაციებით უზრუნველყოფის საქმეშიც. ამ მხრივაც გაკეთდა ზოგი რამ. ნოემბერში სვანეთს გაეგზავნა 20 მილიონი, იანვარში 40 მილიონი ფულის ნიშანი. ორიოდე კვირის წინ კი კუპონები.

ზამთრის სტიქიამ ჩვეული სიძლიერით შემოუტია სვანეთს. ორი კვირის განმავლობაში ისედაც ბლოკირებული რეგიონი მთლიანად მოწყდა გარესამყაროს. არ იყო სინათლე, გზა (უახლოეს სოფლებთანაც ვერ ამყარებდა კავშირს), 9 დღის განმავლობაში არ გვქონდა ინფორმაცია — იყო თუ არა რაიონში მშვიდობა. სამი კვირის განმავლობაში ვებრძოდით სტიქიას. ვერტმფრენების საშუალებით შევძელით საწვავის მინიმალური რაოდენობის შეტანა, ვერტმფრენებითვე ხდებოდა დაზიანების უბნებამდე მისვლა, მწვერვალებზე აპარატურის გასწორება, ხალხის გადმოყვანა, გაიწმინდა გზები, აღდგა კავშირები, ჩაირთო სინათლე და ტელეგადაცემები. ყოველივე ამას ვერ შევძლებდით, რომ არა ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის ამ რეგიონისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობა და ვიცე-პრემიერის ბ-ნ ზურაბ კერვალიშვილის და ბ-ნ დიმიტრი კოტეტიშვილის ოპერატიული ჩარევა. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო „ნავთობკონცერნის“ პრეზიდენტს ბ-ნ დავით ზუბიტაშვილს, ავიაციის სამმართველოს უფროსს ბ-ნ ზურაბ ჭანკოტაძეს, ფინანსთა მინისტრს ბ-ნ კახი პოპიაშვილს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მფრინავთა რაზმის თითოეული წევრის სიმამაცე (ბ-ნ ზაურ ქორთოშიძის მეთაურობით). ისინი უამინდობის პირობებშიც კი სიცოცხლის რისკის ფასად გვედგნენ გვერდში.

ცალკე პრობლემას წარმოადგენდა სვანეთის მკვიდრი სტუდენტების საკითხი, რომლებიც აფხაზეთში სწავლობენ. მათ ხომ წელიწადი ეკარგებოდათ. ამის თაობაზე ჩვენ მივმართეთ განათლების სამინისტროს, რომელმაც ისინი გადაანაწილა თბილისის, ძირითადად კი, ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც 1 ივნისიდან 10 ივლისამდე ჩააბარებენ გამოცდებს.

გარდა ამისა, უკვე წყდება მილიციისა და პროკურატურის ტექნიკური თუ ფინანსური დახმარებისა და საკადრო საკითხები. ასევე პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული კავშირგაბმულობის სისტემისა თუ საგზაო სამმართველოს გამართული ფუნქციონირებისათვის...

— გაზაფხულის დადგომა ახალ სიძნელეებს შეუქმნის სვანეთს...

— გაზაფხულის სტიქიამ უკვე ახალი სიმძლავრით შემოუტია რაიონს. დამეწყრილია 5 სოფელი. დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, ორ სოფელში დაძრულია მიწის ქანები, შექმნილია საშიშროება — მოწყდეს მიწის დიდი მასივი დასახლებულ სოფლებიანად; მწყობრიდან გამოვიდა საავტომობილო გზა (ფაქტობრივად იგი უფრო უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე 1986-87 წლების სტიქიის შემდეგ იყო), ჩამოწვა ღვარცოფები და ამდენად, ამ ეტაპზე გადაუდებელი ამოცანაა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანისა და ზარალის ლიკვიდაცია, რისთვისაც აუცილებელია სამთავრობო ჯგუფის ჩასვლა და სათანადო ღონისძიებების გატარება. ასევე სასწრაფოდ უნდა შეიზიდოს ფქვილი. მოსახლეობა კვლავ შიმშილის მიჯნაზეა.

— თქვენ ზემოთ ილაპარაკეთ სვანეთის ბლოკირების შესახებ, ვინ აკეთებს ამას?

— დღეს უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ სოციალური პრობლემების უკიდურესად გაუარესება და გაუთავებელი უგზოობა სამეგრელოს მხრიდან, მავანთ და მავანთ ხელს აძლევთ, რათა შექმნან გაუსაძლისი სიტუაცია და ამით სვანეთი სამეგრელოს დაუპირისპირონ. სამწუხაროდ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამას სვანეთისადმი სრული უყურადღებობითა და გულგრილობით ხელს უწყობენ სხვადასხვა ორგანოები და ცალკეული თანამდებობის პირებიც.

ბლოკირება ხდება არა განზრახ, რაიმე პოლიტიკური სარჩულით, არამედ მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზაზე საერთო სიტუაციით მოსარგებლე ცალკეული ბანდიტებისა და ყაჩაღების მიერ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

განსაკუთრებით მინდა ვთქვა, თუ ვინმეს ხელს აძლევს სვანეთისა და სამეგრელოს ურთიერთობის არევა, — მიზანს ვერასოდეს მიაღწევს, რადგან ამ ორი კუთხის კეთილმეზობლობა და ძმობა ძირძველი და არახალია. თვით ომის მძვინვარებაშიც კი სვანეთისა და სამეგრელოს საერთო ჯაჭვში არ აღმოჩნდება არც ერთი სუსტი რგოლი.

— სამწუხაროდ, აფხაზეთი ჩვენი თანამდევი ტკივილი გახდა, სვანეთმა დიდი დანაკლისი განიცადა...

— რაიონის მოსახლეობა უმალვე ფეხზე დადგა. პირველივე დღეებიდან დავიწყეთ ჰუმანური დახმარება; პირველ ეტაპზე ათობით ტონა კარტოფილი გაიგზავნა, შეგროვდა სოლიდური თანხა, ადგილზე შეიქმნა ფონდი აფხაზეთში დაღუპული ოჯახების დასახმარებლად; რაც შეეხება უმთავრესს — ჩვენი ბიჭები 20-50-კაციანი რაზმით — „სვანეთი“ ბ-ნ რეზო გუჯეჯიანის ხელმძღვანელობით, ერთ-ერთ უმძიმეს პოზიციებზე იდგა. არ მეგულება ამ ომის არც ერთი პოზიცია, ან საბრძოლო ეპიზოდი, სადაც ჩვენი კუთხის წარგზავნილი არ იყოს ჩაბმული, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ სოხუმის დაცვისას დაღუპულთა შორის 32 ჩვენი კუთხის შვილია.

— ქალბატონო ლია, რა კომენტარს გაუკეთებდით გაზეთ „აღდგომის“ ამასწინანდელ ნომერში გამოქვეყნებულ „სვანეთის მოსახლეობის მიმართვას?“

— სამწუხაროდ, ასეთი დეზინფორმაციებისაგან დაზღვეული ვერ ვიქნებით. მსგავსი სიყალბე უფრო მოგვიანებით მკითხველს მიაწოდა გაზეთ „დრონის“, „იბერიას“ კორესპონდენტმაც. რაც შეეხება „მიმართვას“, იგი არამც და არამც არ გამოხატავს სრულიად სვანეთის მოსახლეობის აზრსა და ნებას. ამას ადასტურებს უპირველესად ოქტომბრის არჩევნების შედეგები, გარკვეული ძალები და დაჯგუფებანი აქაც მოქმედებენ, რათა შექმნან ილუზია, რომ სვანეთის ძირძველი მოსახლეობა მოითხოვს ხელისუფლების გადადგომასა და ექსპრეზიდენტის დაბრუნებას.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხალხის რჩეულს, მოწინააღმდეგეც ჰყავს, არც თქვენ იქნებით გამონაკლისი.

— რა თქმა უნდა. ყველა ჩემს მოწინააღმდეგესთან ვცდილობ მქონდეს ლოიალური, კონსტრუქციული დამოკიდებულება და ყოველთვის ვცდილობ საქმით დავუმტკიცო, რომ ის ცდება. საქმიან ურთიერთობაში ჩემთვის მომხრე და მოწინააღმდეგე არ არსებობს. მე ყველას პატივს ვცემ.

— შიშის გრძნობა თუ გაქვთ?

— ბუნებით მეტისმეტად რისკიანი ვარ, ერთადერთი — რწმენის დაკარგვის მეშინია.

— თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, მიზნის მიუღწევლობას ეგუებით?

— ვერ ვეგუები, რადგან მწამს, თუ საქმე უნდა გაკეთდეს, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს — უნდა გავაკეთო: სხვაგვარად არ შემიძლია.

— თქვენ იურისტი ბრძანდებით და პარლამენტში აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობასაც ეწევით. რა უმთავრესი ნაკლი აქვს პარლამენტს?

— საპარლამენტო მუშაობას ჩვენ ახლა ვსწავლობთ. ამჟამად, ფაქტობრივად, გვაქვს ორპალატიანი პარლამენტის მოდელი. მისი მოთავსება ერთ სამართლებრივ ჩარჩოში არ ხერხდება. შიდაწინააღმდეგობანიც ამიტომ არის ასე გამოკვეთილი. პარლამენტს სჭირდება მეტი და სწორი ორგანიზაცია. მან უფრო სრულად უნდა აიღოს ხელში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები.

— რაზე ოცნებობს ლია ცინდელიანი, როგორც მანდილოსანი და დეპუტატი?

როგორც დეპუტატს, ბევრი ოცნება მაქვს, მათ შორის არცთუ მიუღწეველი, ერთი შვეულმფრენის შეძენა სვანეთისათვის — ეს ბევრ პრობლემას მოგვიხსნის მეც და რეგიონსაც.

— თუ გწყდებათ გული რაიმეზე.

— ისეთ პერიოდში რომ მომიწია მოღვაწეობამ, როცა სვანეთისათვის ყველა ჩემი ჩანაფიქრისა და გეგმის განხორციელება კი არა, მასზე ფიქრიც შეუძლებელია, ამჟამად ბრძოლა მიდის მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის. საარსებო მინიმუმის გამონახვისათვის; მე კი ვოცნებობდი ისეთ ეპოქაში მებრძოლა სვანეთისათვის, როდესაც ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებდი.

და, ბოლოს.

ქალბატონ ლიასათვის ზღვარდაუდებლად, უშურველად იმეტებენ საქებარ სიტყვებს.

საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი: „დღეს ჩვენმა დუხჭირმა ცხოვრებამ გამოაჩინა ლია ცინდელიანის პიროვნება. იგი საკუთარ, მშობელ ხალხზე ზრუნვით ცხოვრობს. ხალხის ტკივილის გათავისება, საქმისადმი შეუპოვრობა, უანგარობა, ერთგულება, ყველა ეს თვისება თავმოყრილია ამ ახალგაზრდაში. როდესაც საქართველოს ისტორიიდან გმირ ქართველ ქალებს ვიხსენებთ, — ისინი, ალბათ, ისეთები იყვნენ, როგორიც ლიაა“...

თამილა ჯაფარიძე.

შეცდომა შვილთაშვილს აზარალებს

სანამ პროექტი დაკანონდებოდეს

ამას წინათ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონის პროექტით დაინტერესებული პარლამენტარები, მისი ავტორები და სხვა პირები. შეკრების მიზანი იყო აქ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე პროექტი უფრო სრულყოფილი და უნაკლო გაეხადათ.

უარყოფითი შეფასება მიეცა მიწის ხელადებით დარიგების ფაქტებს, როცა მიწის ნამდვილი პატრონი, სოფლის მშრომელი კაცი, ზოგჯერ დაზარალებული რჩება და მიწების ერთი ნაწილი არამეურნეთა ხელში აღმოჩნდება ხოლმე.

— კანონი იმდაგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, — ითქვა შეკრებაზე, რომ მიწა იმას ჰქონდეს, ვინც მას საკუთარი ხელით დაამუშავებს და კიდევ უფრო ნაყოფიერს გახდის მას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვალერიან მეტრეველმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეიქმნას კანონპროექტის გადამუშავების სამუშაო ჯგუფი...

ერთსულოვანი იყო აზრი იმის თაობაზე, რომ ამ კანონის მიღების დაჩქარება გაუმართლებელია, რომ საჭიროა ადგილებიდან მიღებული მოსაზრებებითა და წინადადებებით მისი შევსება, ვინაიდან იგი იმ კანონთაგანია, რომელსაც ქართველი ხალხი დიდიხანია ელოდება და მასზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს.

აღნიშნული კანონპროექტის გამო უკვე რამდენიმე გამოხმაურება მივიღეთ, მათ შორის საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მიწათმოქმედის“ თავმჯდომარის, ბატონ თამაზ ცინცაძის წერილიც არის, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ.

ვინც პრივატიზაციის პროცესს დააკვირდა, დამეთანხმება, რომ მიწების მასობრივი ჩამორთმევის პროცესი შედარებით უფრო ადვილად ჩასატარებელი ყოფილა, ვიდრე მისი განაწილება (აბსოლუტურადაც არ ვამართლებ იმას, რაც „განკულაკებისა“ და სხვა ადრე ჩატარებულ პროცესებთანაა დაკავშირებული). ამდენად, ახლა მაინც არ უნდა დავუშვათ ის შეცდომები, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას კიდევ ერთხელ აზარალებს, ან რომელიმე სოციალურ პრივილეგირებას დაუშვებს.

დავიწყებ კანონპროექტის შესავლით: მიუღებელია მის ზოგად დებულებაში ჩამოყალიბებული მოსაზრება, კოლექტივიზაციამდელი მესაკუთრისათვის მიწის ადრინდელი დადგენილი ნორმის ფარგლებში ნაკვეთის დაბრუნების თაობაზე, რადგან შეიძლება მას სერიოზული გართულებები მოჰყვეს. ვისაც ამ პროცესთან შეხება ჰქონია, დამეთანხმება, რომ მიწის მეპატრონის მემკვიდრე შვილებსა და შვილიშვილებს შორისაც კი მამა-პაპეული მიწების განაწილებას გაუგებრობები მოჰყვა, როცა არაოფიციალურად, სანოტარო თუ ხელისუფლების მიერ ეს საკითხები ადგილებზე წყდებოდა, როცა მიწის ეს ფართობები ყოფილმა მესაკუთრეებმა იჯარით გაიფორმეს, ზოგან კი ამ ფართობების ფარული პრივატიზაციაც მოხდა.

პროექტის მეოთხე მუხლში, რომელშიც განხილულია მიწის კერძო საკუთრების სუბიექტები, აღნიშნულია: მიწის კერძო მესაკუთრე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში სულ ცოტა 16 წელი ცხოვრობს. ჩვენი აზრით, ეს სრულყოფილად არ ასახავს საქმის ნამდვილ არსს, რადგან შეიძლება საქართველოს მოქალაქე იმ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდეს 16 წელზე ნაკლები, მაგრამ საერთოდ საქართველოში მეტხანს იყოს ნაცხოვრები. ამდენად, კანონში უნდა ჩაიწეროს — საქართველოს მოქალაქე შეიძლება გახდეს მიწის მესაკუთრე, თუ იგი საქართველოში ცხოვრობს არანაკლებ 16 წელი. ამასთან, სასურველია 16 წელი ათამდე შემცირდეს. ამით ამ მუხლში გათვალისწინებული ჩანაფიქრის არსი არ შეილახება, კანონს კი დემოკრატიულობა შეემატება. რაც შეეხება ამავე მუხლში ნათქვამს, — ორი ათას წლამდე მიწის გაყიდვა დაუშვებელიაო — ეს აზრი ბოლომდე არ არის ნათქვამი.

კანონპროექტის მეხუთე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია მიწის სახელმწიფო საკუთრება, უნდა ჩაიწეროს: კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწების გარდა ყველა მიწა სახელმწიფო საკუთრებაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთი ნაწილი ახალმოსახლეთა საკარმიდამო მიწით დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცემა. ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციების (საზოგადოებრივი მეურნეობების, კოლმეურნეობებისა თუ აგროფირმების) მიერ დაკავებულ ფართობს, იგი სახელმწიფო ფონდში უნდა ირიცხებოდეს, მაგრამ მუდმივ სარგებლობაში ამ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ.

მეცხრე მუხლში, რომელშიც მოცემულია მიწის იჯარით გაცემის წესი, უცხოელ მოქალაქეს უფლება ეძლევა, თუ იგი იჯარით აღებულ მიწაზე გააშენებს მრავალწლოვან ნარგავებს, მისი ნახევარი ფართობი პირად საკუთრებაში დაიკანონოს. ესეც სადავოდ მიგვაჩნია, რადგან ვფიქრობთ, იგი ანგარებითი ურთიერთობის საგნად გადაიქცევა და იჯარა თავის ნამდვილ არსს, ფორმასა და შინაარსს დაკარგავს. კანონი იმგვარად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ მიწა ურთიერთხელსაყრელ პირობებში გაიცეს.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების დადგენისა და მიწის კადასტრის წარმოებაზე კონტროლი, პარლამენტის პრეროგატივა კი არა (როგორც ეს პროექტშია), საქართველოს სამთავრობო ფუნქციებში უნდა შედიოდეს.

ვთვლით, რომ თუნდაც ორი წლის მანძილზე, ე. წ. გარდამავალ პერიოდში მაინც, ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს რაიონული ხელისუფლებისა და ადგილობრივი (სოფლის თუ თემის) ხელმძღვანელთა ფუნქციები, რაც კანონშია გასათვალისწინებელი. ამ პერიოდში მიწის მფლობელობაში და იჯარით გაცემაზე კონტროლი რაიონულ ხელისუფლებას უნდა ეკისრებოდეს, ხოლო რაც შეეხება გადაჭარბებულ კურატორობას და აქამდე მოქმედ ათასგვარ შემოწმებებს, მათგან სოფელი უნდა გათავისუფლდეს.

კანონპროექტის მესამე თავში განხილულია მიწის მეპატრონის უფლებები. ვფიქრობთ, აუცილებელი არ არის კანონში დაფიქსირდეს მუშების დაქირავების უფლება. თუ ამის დაკანონება აუცილებელია, მაშინ საჭიროა განისაზღვროს დაქირავებული მუშების ზღვრული ოდენობა, როგორც ეს საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაშია დაკანონებული.

მიუღებელია აგრეთვე, მე-19 მუხლით გათვალისწინებული საკომლო ნაკვეთის გაყოფის კანონით აკრძალვა, რადგან საქართველოს ბევრ სოფელში მიწა დეფიციტია. ხოლო საკომლო ნაკვეთის განაწილების აკრძალვა ახალი კომლის შექმნას შეზღუდავს. რაც შეეხება იმ სოფლებს, სადაც სარეზერვო მიწების შექმნის საშუალებები და პირობები არ არსებობს, ამ შემთხვევაში საკომლო ნაკვეთის გაყოფის აკრძალვა არაა აუცილებელი, რომ ახლად შექმნილ კომლს მიწა სარეზერვო მიწებიდან გამოეყოს, რადგან ამით ილახება ოჯახის წევრების კანონით მინიჭებული უფლებები.

მიუღებელია, რომ ეკომუზეუმებში, ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებსა და აღკვეთილებში კანონპროექტის 22-ე მუხლით დასაშვები ხდება საკომლო (გლეხური) მეურნეობების მოწყობა (რაც მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით რეგულირდება), რადგან ასეთი კატეგორიის მიწების გამოყენების ძირითად მიზანთან იგი შეუთავსებელია.

კანონპროექტის მე-40 მუხლით სოფლის მმართველობისათვის საკარმიდამო მიწების განაწილების საქმეში მინიჭებული უფლებები გადაჭარბებულია. საჭიროა ჩაიწეროს, რომ სოფლად მიწის რეფორმის დროს წარმოშობილ სადავო საკითხებს არეგულირებს რაიონული რგოლის ადგილობრივი ხელისუფლება, რომლის როლი მოცემულ კანონპროექტში დაკნინებულია, რაც რეალური ვითარების პირობებში მიუღებელია. ამავე მუხლში გასათვალისწინებელია, რომ მიწის რეფორმის დროს, საკარმიდამო ნაკვეთების შევსება-გაყოფისას, პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს სოფლის მოსახლეობა, კოლმეურნეები ინტელიგენცია და ამის შემდეგ ქალაქის მოსახლეობა. ამდენად, საჭიროა ჩამოყალიბდეს მიწით დაკმაყოფილების განმსაზღვრელი კატეგორიები. კანონპროექტის ამავე თავში განხილული საკითხი, რომ როცა სოფლად მიწის ფართობის უქმარისობის გამო პიროვნებას მიწით ვერ აკმაყოფილებენ, ამ შემთხვევაში კანონი უფლებას იძლევა, მას მიწა სხვა სოფლის ფონდიდან გამოეყოს. ვფიქრობთ, ეს საკითხი საბოლოოდ კომლთა საერთო კრებამ უნდა გადაწყვიტოს, რაც პროექტში არ არის აღნიშნული. ამასთან არასწორია კანონპროექტის მე-40 მუხლით განსაზღვრული საზღვარგარეთიდან გადმოსახლებული მოქალაქეების მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილება, უმჯობესი იქნება ისინი საერთო წესით დაკმაყოფილდნენ.

კანონპროექტის მე-40 მუხლში აღნიშნულია, რომ თუ სახლს არ ჰქვს საკარმიდამო ნაკვეთი, კანონით ადგილობრივი ხელისუფლება უფლებამოსილია უზრუნველყოს იგი საკარმიდამო ნაკვეთით. კანონის ასეთი ფორმულირებით მიღების გამო მასობრივად გავრცელდება სახლის ნაწილის გაჩუქებისა და გადაფორმების შემთხვევები, რომელიც ალბათ გახშირდება და სისტემატურ ხასიათს მიიღებს. ბინების მშენებლობა და გაყოფა-გაჩუქება დაიწყება საკარმიდამოს მოპოვებისთანავე. ამდენად, ეს მოსალოდნელი პროცესი თავიდანვე გასათვალისწინებელია. კანონპროექტის VI თავში, სადაც განსაზღვრულია მიწის გამოყოფის შეზღუდვა და აკრძალვა, საჭიროა დაემატოს: მიწის გამოყოფა შეზღუდული უნდა იყოს აგრეთვე წიაღისეული სიმდიდრის მოპოვების მიდამოებში და იმ ტერიტორიაზე, სადაც გათვალისწინებულია გეოლოგიური საძიებო სამუშაოები, აგრეთვე ტბების, წყალსაცავებისა და ზღვის სანაპირო საკურორტო ზონის ფარგლებში.

რაც შეეხება მიწის გადასახადსა და მიწის საიჯარო ქირას, 49-ე მუხლში აღნიშნულია: მიწის გადასახადის ნორმებსა და ოდენობას ადგენს ქალაქის და სოფლის თემების თვითმმართველობა. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელი გაუგებრობა რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია მიწის გადასახადის ოდენობა განსაზღვროს მინისტრთა კაბინეტმა, ზონებისა და მიწის კადასტრის მიხედვით და ამის გამო გამოთქმული შენიშვნებიც მანვე გაასწოროს.

და, ბოლოს, კანონპროექტის ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ მასში გათვალისწინებული არ არის ამჟამად მოსახლეობის სარგებლობაში მქონე საკარმიდამო ნაკვეთების პირად საკუთრებაში გადაცემის საკითხი, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან საქართველოს მოსახლეობა ამას მოუთმენლად ელოდება.

ამასთან იმის თქმაც გვინდა, რომ იმ რაიონებში, სადაც ჯერაც არ მომხდარა საკარმიდამო ფართობების მინიმალური ოდენობით შევსება და უმიწო კომლების დაკმაყოფილება (მით უმეტეს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რაიონებში მიწების ინვენტარიზაციის სამუშაოები უკვე დამთავრებულია და განისაზღვრება სარეზერვო მიწები), სასურველია ამ პროცესის დაჩქარება.

• • •

კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ, კიდევ ერთხელ გადახედონ აღნიშნულ კანონპროექტს და საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მიწათმოქმედს“ მიაწოდონ თავიანთი შენიშვნები. ამით, გაერთიანებული ძალით, ხელს შევუწყობთ ამ მეტად მნიშვნელოვანი კანონის დახვეწასა და დროულ მიღებას.

ავტორის თხოვნით, ჰონორარი გადაირიცხება აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

როგორიც გვინდოდა, ისეთი თავკაცი გვყავს

ანზორ კილაძის დანიშვნამდე, ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ჯაპანიდან სუფსამდე, არც შუქი იყო, არც პური ცხვებოდა, მანქანები არ მოძრაობდნენ და არც ორგანიზაციები მუშაობდნენ. მისი დანიშვნიდან ერთი თვის თავზე კი მიძინებულმა და დიდი ზამთრისაგან დათრგუნულმა რაიონმა სული ჩაიდგა, ამოძრავდა და შეძლებისდაგვარად ცდილობს ჩვეულ რიტმს დაუბრუნდეს.

„გასაკეთებელს აუცილებლად გავაკეთებთ“ — ამ ემოციურ ტონზე დაიწყო ჩემთან საუბარი ლანჩხუთის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგებელმა ანზორ კილაძემ, კაცმა, რომელმაც ათეული წლების მანძილზე უხელმძღვანელა ლანჩხუთის ჩაის წარმოებასა და აგროსამრეწველო კომპლექსს, გულისხმიერებისათვის ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა და 11 ოქტომბრის არჩევნებში ლანჩხუთელ ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა.

ამჟამად იგი თავის მშობლიურ რაიონს ხელმძღვანელობს.

დღეს, მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი რაიონის თავკაცები. ახლა, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს ჩამოყალიბებული თანამედროვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. როცა ათასი სხვა სატკივარ-საზრუნავი გვაწუხებს, რაიონის გამგებლების აქტიურობაზე, მათ ინიციატივაზე ბევრია დამოკიდებული. მათ უნდა აიყოლიონ წლების მანძილზე შრომასთან გაუცხოებული, იმედდაკარგული ადამიანები, აალორძინონ შრომითი რიტმი მინდვრებსა თუ საწარმოებში, ფეხზე დააყენონ ჩვენი იავარქმნილი სოფელი, რომელიც ძირითადი საფუძველია საქართველოს ძლიერებისა.

ანზორ კილაძე, როგორც ლანჩხუთელები ამბობენ სწორედ ის თავკაცია, რომელსაც ხელეწიფება ყოველივე ეს.

ამიტომაც იყო, რომ ვიდრე მასთან სასაუბროდ მივიდოდი გაგონილს მაინც თვალით ნანახი ვამჯობინე და რამდენიმე სოფელში ჩამოვაგდე სიტყვა რაიონის ახალ ხელმძღვანელზე. აი რას ამბობენ მასზე აქაურები:

სოფელი ნიგოითი, ავთანდილ ფიფია: გაგვიმართლა ლანჩხუთელებს. ვინც გვინდოდა, თავკაცად ის გვყავს. რაიონში ყველას უყვარს, გაჭირვებულის გამკითხავი იყო და დარჩა კიდეც. ამიტომ ავირჩიეთ დეპუტატად...

კლარა და რუსუდან გოგუაძეები: მისი მოსვლის შემდგომ დაძაბულობამ იკლო. გამძაფრდა დანაშაულობასთან ბრძოლა...

სოფელი ჩოლობარგი, ჯულიზა კორძაძე: პროდუქტები გამოჩნდა: შაქარი, ბრინჯი, ვერმიშელი, პური... ესაა ოღონდ, პურს ნორმით გვძლევენ, ამიტომ ხანდახან ერთი ცალიც არ გამოდის ოჯახზე. მეუღლეს 3 თვეა ხელფასი არ აუღია. გვიჭირს ცხოვრება... ბანკიდან მსხვილი კუპონების გამო ხელფასი ვერ გამოიტანეს. ანზორ კილაძე კარგი ადამიანიაო ამბობენ, დიდი იმედი გვაქვს. ალბათ მოგვიგვარებს პურის საკითხს და დაპირებულ ფქვილსაც შემოგვიტანს.

სოფელი შუხუთი, რონ იმნაიშვილი: კილაძე ნაცადი კაცია რაიონისათვის. სოფლებში ჩატარებულ თათბირ-კრებებზე გვითხრა, რომ თქვენივე თესლით უფასოდ დაგიხნავთ მიწებს, ოღონდ მექანიზაცია მოიყვანეთ წესრიგში. საწვავი ჩემზე იყოსო. ის დიდებული საქმეა.

სოფელი აცანა, კულტურის სახლთან არსებული ქალთა ვოკალური ჯგუფი „აცაური“: ანსამბლის დაარსების დღიდან ცდილობს დახმარებას. ხელფასებიც დაგვინიშნა.

კოტე ქინქლაძე. აგროსამრეწველო საწარმო „აცანის“ მთავარი ბუღალტერი: კარგად მახსოვს ანზორ კილაძემ ჯერ კიდევ 1982 წელს დაიწყო ე. წ. ბარტერული გაცვლები რუსეთის სხვადასხვა ქარხნებთან. მოსახლეობისთვის შემოჰქონდა კარტოფილი, ხახვი, ხორბალი... დაუფასდა კიდეც. არჩევნებში შესანიშნავი შედეგი მიიღო. მისმა ახლანდელმა წამოწყებებმა გამოაცოცხლა და იმედი ჩაუსახა ადამიანებს.

რეზო ჩხაიძე: ბატონი ანზორის მოსვლით ტრანსპორტიც ამოძრავდა რაიონში. ახლა მას ხელისშეწყობა უნდა, თორემ მარტოკაცი რას გახდება.

არ მინდა მკითხველმა მიკერძოებაში ჩამითვალოს, მაგრამ მასზე ცუდის მთქმელი მართლაც არ შემხვედრია. ერთი კია, ზოგმა ისიც მითხრა: — „ჯერ ახალია, მერე ვნახოთო“.

— თქვენზე ისიც თქვეს, ბატონო ანზორ, თათბირზე „ატკ-ს უფროსს უთხრა — ტრანსპორტი რომაა გაჩერებული და ხალხი სამსახურში ფეხით დადის, შენც ისე იაროო.

— მართალია, ვთქვი!.. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გადაწყდეს ტრანსპორტის, გზის, ელექტროენერგიის, პრობლემები... ვითომ სულ უბრალო საქმეა, მაგრამ, რამდენი ხანია მშრომელები ითხოვდნენ, ლანჩხუთ-წყალწმინდა-ფოთის რეისის დანიშვნას. ეს საქმე დადებითად გადავწყვიტეთ. მას ლანჩხუთი-აცანა-მამათი-სილაური-ოზურგეთი-ბათუმის რეისიც დავუმატეთ... მძიმე ზამთარმა ჩვენი მთაგორიანი რაიონისთვის დამახასიათებელი ძნელი გზების აღდგენითი სამუშაოები მოითხოვა. ამასაც მოევლება: სოფლის შიდა გზებზე ნაწილობრივ ხრეში მოიყრება, ნაწილობრივ ასფალტი დაიგება. რაიონის ტრასა კი გრიგოლეთიდან ჯაპანამდე ახალი საფარით დაიფარება. მთავარია საწვავი იყოს. იგი კი, დეფიციტის მიუხედავად, წელს იანვრიდან არ მოგვკლებია — ჩაის პროდუქციაზე გაცვლით შემოვიტანეთ ჩეჩნეთიდან 1.500 ტონა. ამით ჩვენს რეგიონში ოზურგეთისა და ჩოხატაურსაც შევუწყეთ ხელი. შემდეგი პარტიის შემოსატანადაც უკვე გვაქვს მიღებული ზომები.

ელექტროენერგიის არასტაბილურობამ პურის პრობლემა გაგვიჩინა. წლების მანძილზე ჩვენმა მომმარაგებელმა, ოზურგეთის წისქვილკომბინატმა ჯერ კიდევ გასული წლის მეოთხე კვარტალში 600 ტ. ფქვილი დაგვაკლო. ახლა, მართალია, რაიონში 30 ტონა შემოვიტანეთ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. გემიდან მალე ბათუმის ნავსადგურში გადმოტვირთული ხორბალიც შემოგვივა და პრობლემაც მოიხსნება...

— რას იტყვით რაიონში სტაბილიზაციის შესახებ?

ღონიერი სოფლისათვის

— ადრე ჩვენს პოლიციაში 42 მუშაკის მაგივრად 22 იყო. აქედან შვიდი ოჩამჩირეში იბრძოდა... ეხლა ეს დანაკლისი საჭირო კონტინგენტით შევავსეთ და განყოფილებაც ენერგიულად ამუშავდა. მაგრამ კრიმინალურ დანაშაულთა შესამცირებლად ვაპირებთ განყოფილების გაძლიერებას კიდევ 12 კაცით. დამატებით აცანაშიც გავხსნით ქვეგანყოფილებას. პოლიციის გამოცდილი, ოპერატიული და შეუპოვარი მუშაკი გურამ ჩხაიძე ხელმძღვანელობს. მისი ინიციატივითა და მოქმედებით რამდენიმე ბანდიტი დააპატიმრეს. პოლიციას რაიონის აქტივი უდგას გვერდით, რამაც საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო.

ოჩამჩირე ვახსენე, ომი. იქ ჩვენი ბიჭები იბრძვიან. ვაი, რომ მსხვერპლის გარეშე ვერც ჩვენ გადავრჩით. მომრავლდა დაღუპულთა ოჯახები, ძმებზრაცმული ჩვენი სისხლი და ხორცი. მაგრამ ომში ოფიციალურად გაწვეულების გარდა, მოხალისეთა დიდი რაოდენობაცაა წასული. ვცდილობთ უმაგათობა არ ვაგრძნობინოთ ოჯახებს და ვეხმარებით ყოველნაირად. უკან არაფერზე ვიხევთ. მიუხედავად რაიონში შექმნილი სიძნელეებისა, გარდატეხის პერიოდისა და გამალებული საგაზაფხულო სამუშაოებისა, ჩემი მოადგილე, ბატონი გია ნაჭყებია, 2 თვეა მათთან ერთად იბრძვის. აქედან ყურადღებას და ნობათს არ ვაკლებთ ფრონტს, გამარჯვების იმედი გვაქვს, მაგრამ გულსაც გვტკენს და ზედმეტ სამუშაოს გვმატებს იმ ყმაწვილთა უწესობა, ჯარის სხვადასხვა ფორმირებებს რომ მიაქციებიან და მათი სახელით დანაშაულს სჩადიან.

— თქვენი რაიონისათვის ძნელი და გარდატეხის ეტაპიაო, თქვით.

— დიახ, ძნელი ეტაპია. იმით დავიწყოთ, რომ პრეტენზია გვაქვს ბანკებთან. ლანჩხუთის მოსახლეობას, განურჩევლად სოციალური ფენისა, ჯერ კიდევ 1991 წელს დამზადებული ხილისა და 1992 წლის ჩაის ფოთლის ღირებულება არ მიუღია. ეს უკმაყოფილებას იწვევს იმ წარმოება-დაწესებულებების მიმართ, ვინც ვალდებულია დააკმაყოფილოს ისინი, სინამდვილეში კი პასუხი ბანკს მოეთხოვება. იგი ხალხისთვის დასარიგებელ თანხას შემნახველ სალაროებსა და ბანკებში წიგნაკებზე გადაყვანით რიცხავს. ეს არც წარმოებას აძლევს ხელს და არც მოსახლეობას. რისთვის უნდა კაცს ფული ბანკში, თუ ვერ მოიხმარა, ან ორგანიზაციას — თუ ის გალატაკდება. ეს მექანიზმი ბანკის სასარგებლოდ მუშაობს მხოლოდ, რომ თავისი სესხის პროცენტი დიდი ოდენობით აიღოს.

პრეტენზია გვაქვს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებაზე, რომელიც შემოსავლის 50 პროცენტს ახდევინებს წარმოება-დაწესებულებებს. მთავრობის მეორე დადგენილებით შეიქმნა საანგარიშსწორებო ცენტრები სხვადასხვა ქალაქებში, რამაც წარმოშვა ხელოვნური ბარიერები, რაც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ახლა რაიონში საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს. მართალია, დიდთოვლობამ მის დროულად დაწყებაში ხელი შეგვიშალა, მაგრამ დღესდღეობით თითქმის დამთავრების სტადიაშია ჩაის შპალერული და მძიმე გასხვლა. შეზარვა, ფოსფოროვანი სასუქების შეტანა, სადრენაჟო არხების გაყვანა და სხვა.

— ბატონო ანზორ, მე ხელთა მაქვს გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე“, რომელშიც ნათლადაა ნათქვამი, რომ გამგეობამ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 მარტის დადგენილებიდან გამომდინარე, რომლის მიზანია რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანა, მეტად გაბედული და ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო: „მიწის კერძო მფლობელებს, ყველა მესაკუთრეს, ვინც ნიადაგს ამუშავებს ერთწლიანი კულტურების ქვეშ, მიმდინარე წელს არ გადაახდევინონ ხვნა-თესვისათვის გაწეული ხარჯები (ნიადაგის დახვნა-დათესვა, დაფარცხვა და კულტივაცია)“.

— დიახ, გვაქვს ასეთი წამოწყება, პირველ რიგში ხალხის ახლანდელი ფინანსური მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით. დღეს რომ 1 ჰექტარი დამუშავდეს, 20 ათასი მანეთი მაინც დაჯდება. ცოდოა ხალხი. ამიტომ გამგეობამ გადაწყვიტა უფასოდ დაუმუშაოს მოსახლეობას ფართობები მათივე თესლით. ამის გარდა, საკარმიდამო ნაკვეთების შესავსებად რამდენიმე ჰექტარი რაიონის სახნავი ფართობიდან გაიცეს. პრივატიზაციის შედეგად მათ მრავალწლიანი მცენარეებიც უსასყიდლოდ ერგოთ. მცირე რაოდენობით დარჩენილი ფართობებიც კი იჯარით გაიცემა მოსახლეობაზე. ჩვენ ერთი მეტად საინტერესო, ახალი და მისაღები იდეა შევიმუშავეთ და განვახორციელეთ კიდეც. მოგეხსენებათ, მიწის ფართობებისა და პლანტაციათა უქონლობის გამო დაიშალა კოლმეურნეობა-მეურნეობები. ამიტომ, ისეთ სოფლებში, სადაც საწარმოები არსებობდა, დაევალათ შეფობა გაუწიონ სოფელს. ასეთებია აგროკომბინატები, აგროფირმები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები აკეთში, შუხუთში, ლესაში, ნიგვზიანში, მამათში, აცანაში, სუფსაში, გულიანში. ეს ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან სოფლის ავკარგზე.

რაიონში მძიმედ დგას რქოსანი მსხვილფეხა პირუტყვის პრობლემა. გასული წლის იანვარში რაიონში 3.200 სული იყო, ახლა კი 400-ია დარჩენილი. მთელ რიგ სოფლებში საერთოდ განადგურდა იგი. ამან ლანჩხუთის ყველ-კარაქის ქარხნის უმოქმედობა გამოიწვია. მშიერები გვყავს პატარები.. ახლა გადავწყვიტეთ 3 მეცხოველეობის კომპლექსი შევქმნათ ზონების მიხედვით, თითოეულში 1.000 სულამდე. ამისთვის საძოვრები გაგვაჩნია, იმედი გვაქვს ბავშვებსა და სოციალურად დაუცველ ფენებს სულ მალე დავაკმაყოფილებთ რძითა და რძის პროდუქტით. აქვე ვიტყვით, რომ ვფიქრობთ 25 ჰექტარი თუთის ხე დავრგოთ. იყო დრო, რაიონი 100 ტონამდე აბრეშუმის პარკს ამზადებდა, ახლა ეს ციფრი ათამდეა დაყვანილი.

სხვა ბევრი პრობლემაც გვაქვს მისახედი.

გვინდა გავზარდოთ რაიონში ტელეფონების რაოდენობა. რამდენიმე სოფელში 200-300 ნომრიან დამატებით სატელეფონო ქვესადგურს ავამუშავებთ. ამ ზამთარს პირადი სარგებლობისათვის ჩვენს პედაგოგებს 5 კუბომეტრი შეშა გადავეცით უსასყიდლოდ, მოვუხსენით ელექტროენერგიის გადასახადი, რაიონის ტერიტორიაზე დავუწესეთ უფასო მგზავრობა.

რაიონში ამჟამად საკმაო რაოდენობითაა შაქარი, ბრინჯი, მაკარონი, ვერმიშელი და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტები. მალე ამუშავდება ლანჩხუთის კინოთეატრი, კულტურის სახლი. ფაქტიურად ორი წელია დადუმდა სიმღერისა და ცეკვის ბევრი ანსამბლი. ყველაფერში თანდათან წამოვეწევით. ვცდილობთ ავალორძინოთ სპორტის სახეობებიც, კერძოდ, ჩვენთან განვითარებული მძლეოსნობა, ბალახის ჰოკეი, ფეხბურთი. მე, როგორც ლანჩხუთის ფეხბურთელთა გუნდის „გურიას“ გულშემატკივარი, ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე და მისი სპონსორი ჩემი „აგროფირმის“ ხელმძღვანელობის დროს, გეტყვით, რომ სულ მალე, წლის ბოლოსათვის, ნახავთ რა გუნდი გვეყოლება „გურიას“ სახით და თავს წინასწარ ვიწონებთ ამით.

ია კალანდარიშვილი.

თბილისი-ლანჩხუთი.

თქვენთან გვიგულეთ, ძვირფასო ძმანო ქართველნო!

ქართველ-სომეხთა მეგობრობის რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის განცხადება

მოძმე ქართველი და აფხაზი ხალხები შინაურმა და გარეშე მტრებმა, განსაკუთრებით კი აფხაზმა ექსტრემისტებმა, მიაღწიეს საწადელს და გააჩაღეს ეს სისხლისმღვრელი ომი.

ომმა გააჩანაგა მადლიანი აფხაზეთი, მიწასთან გაასწორა მისი სოფლები და ქალაქები, აფხაზეთის ტურფა დედაქალაქი სოხუმი, შეიწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე, ლტოლვილებად აქცია ათიათასობით ქართველი, აფხაზი, სომეხი, რუსი დედა და ბავშვი, მოხუცი და ჭაბუკი, რომლებიც ძლივს დაუძვრნენ კლანჭებიდან სიკვდილს და ახლა ზოგი სად აფარებს თავს, და ზოგი სად.

ომი კიდევ უფრო დამანგრეველი გახადეს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა დაქირავებულთა ბანდებმა, „მოხალისეთა" სახელწოდების ამოფარებულმა აფხაზეთში მყოფმა რუსეთის ჯარებმა და სხვა მოთარეშეებმა.

ძვირფასო ქართველო ძმებო, რესპუბლიკისათვის ამ ტრაგიკულ ჟამს, როდესაც მტერი ომს აჩაღებს და ცდილობს შექმნას ახალი სიძნელეები, მოარყიოს ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ჩვენ, ახალქალაქელი სომხები, გულისწყრომით ვგმობთ აფხაზ გამთიშველთა უკანონო მოქმედებას, დაქირავებულთა ბარბაროსობას. გვენდეთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ისევე, როგორც ჩვენი სახელოვანი მამა-პაპანი, ჩვენც, რესპუბლიკის ამ ძნელბედობის ჟამს, ღვიძლი ძმასავით ამოგიდგებით მხარში, ჩვენი დამოუკიდებელი სამშობლოს — საქართველოს საზღვრების შეუვალობის, მშვიდობის დასაცავად. ჩვენთვის წმიდათაწმიდაა დიდი ილიას სიტყვები: ჩრდილოეთიდან ჩვენ ვიცავდით სომხეთს, სამხრეთიდან კი სომხები გვიცავდნენ ჩვენ... მუდამჟამ ერთი ერის ჭირი მეორის ჭირი იყო, ერთის ლხინი კი მეორის ლხინი...

საქართველოში შობილი და გაზრდილი სომხის სამშობლო საქართველოა! ჩვენი სამშობლო ახლა საფრთხეშია. ჩვენ მზად ვართ დავიცვათ იგი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სომხეთის პასუხი სამმხრივ ინიციატივას

სომხეთის მთავრობა დაეთანხმა ინიციატივას, რომელიც 18 მაისს წამოაყენეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინსკის ჯგუფის თავმჯდომარემ, რუსეთის ფედერაციამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და თურქეთმა. ეს განაცხადა დღეს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, პრეზიდენტის მრჩეველმა ჟირაირ ლიპარიტიანმა. მან წაიკითხა სომხეთის მთავრობის განცხადება ამასთან დაკავშირებით. სომხეთი, ნათქვამია დოკუმენტში, ვალდებულებას კისრულობს მთლიანად შეასრულოს ინიციატივის ის პუნქტები, რომლებიც მას ეხება, როგორც აღნიშნულია ეს სამმხრივ წინადადებაში გაეროს უშიშროების საბჭოს 822-ე რეზოლუციის შესრულებასთან დაკავშირებით. განცხადებაში გამოთქმულია იმედი, „რომ „ასეთივე მიდგომას გამოიჩენენ ყარაბაღის კონფლიქტის ძირითადი მხარეები — აზერბაიჯანი და მთიანი ყარაბაღი".

სომხეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერევნის პოზიცია ეცნობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინსკის ჯგუფის თავმჯდომარეს მარიო რაფაელის, შვეციის, როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში თავმჯდომარე ქვეყნის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე ერევანში რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოთა მეთაურებს.

სამმხრივ ინიციატივაზე სომხეთის პასუხი ეცნობებათ სომხეთში აკრედიტებულ სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

„კეთილი ნების" გამოვლინება

შეერთებული შტატები მზად არის დაუთმოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუ ფხენიანი ნებას დართავს მოაწყოს თავისი ბირთვული ობიექტების საერთაშორისო ინსპექციები. ასეთ შემთხვევაში ჩრდილოეთ კორეას შეუძლია იქონიოს იმის იმედიც, რომ განახორციელოს სამხრეთ კორეაში ამერიკული სამხედრო ბაზების ინსპექციები. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში რობერტ გალუჩიმ ოთხშაბათს სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გამოსვლისას. ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ეს მიაჩნიათ ფხენიანის მიმართ ვაშინგტონის „კეთილი ნების" გამოვლინებად ორმხრივი მოლაპარაკების წინ, რომელიც 2 ივნისს ნიუ-იორკში უნდა დაიწყოს. ამ მოლაპარაკებაზე ეს მაღალი თანამდებობის დიპლომატი უმეთაურებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას.

ოფიციალური ძალები ილაშქრებენ

სომხეთის ოპოზიციური პარტიის „დაშნაკცუთიუნის" მიერ მოწყობილი ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი დამთავრდა თურქული დროშის დაწვით. ეს გავლენიანი პოლიტიკური ძალა განაგრძობს აქ საპროტესტო აქციების სერიას ყარაბაღის საკითხის მოწესრიგებისათვის სამმხრივ ინიციატივაში თურქეთის მონაწილეობის წინააღმდეგ და არ ეთანხმება ამ დოკუმენტის შინაარსს.

რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის წინადადებებს პასუხი უნდა გასცეს მთელმა სომეხმა ხალხმა, განაცხადა დაშნაკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა, სომხეთის პარლამენტის დეპუტატმა რუბენ აკოფიანმა. მან გამორიცხა თურქეთის მხარის მონაწილეობა სამმხრივ ინიციატივაში.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა სომხეთის პრეზიდენტსა და პარლამენტს მოსთხოვეს უარყოფითი პასუხი გასცენ რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის მიერ შემოთავაზებულ მოწესრიგების გრაფიკს, აგრეთვე უარყონ თურქეთის მონაწილეობა ამ ინიციატივაში.

დაშნაკთა პარტიის საპროტესტო აქციებს შეუერთდნენ ადგილობრივი ოპოზიციის ზოგიერთი სხვა ძალებიც.

„მეცნიერთა გადინება"

დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობა აპირებს უაღრესად ხელშემწყობი პირობები შეუქმნას მეცნიერების განვითარებას ქვეყანაში, რათა აღკვეთოს „მეცნიერთა გადინება" საზღვარგარეთ. ბრიტანეთის მეცნიერთა და მათ მიერ წარმოებული კვლევის მომავლის მიმართ მთავრობის პოლიტიკის დეტალები გამოვლინდა ოთხშაბათს ამ საკითხზე გამოქვეყნებულ „თეთრ წიგნში", რომელიც პირველი ამგვარი დოკუმენტია თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში. მისი გამოჩენის საჭიროება გამოწვეულია იმით, კერძოდ, რომ ბევრი მეცნიერი-მუშაკი უკვე დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამს არა მარტო იმის გამო, რომ ჯეროვნად არ ფინანსდება პროექტები, არამედ დაბალია მათი შრომის ანაზღაურება, რასაც მოჰყვა სხვა სახელმწიფოებში მეცნიერთა მნიშვნელოვანი „გადინება".

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბოლო ზარი

წინ ფერადი ოცნებების, დიდი იმედების აღსრულებაა

გასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახლა უჩვეულო ფუსფუსია, მართალია, წინ გამოსაშვები გამოცდებია, მაგრამ ბოლო ზარი მაინც სასწავლო წლის დასასრულს ნიშნავს. იგი მარად ტკბილმოსაგონარი მოწაფეობის წლების ბოლო აკორდია.

დრამატული მოვლენებით აღსავსე დღევანდელობამ ყველაფერს თავისი მძიმე კვალი დააჩნია და ბუნებრივია, ეს შეეხო ჩვენს სკოლასაც. მაგრამ კვლავ ვიბრძვით, კვლავ ვაშენებთ, კვლავ ვიკრებთ სულის მხნეობას.

ეს ყმაწვილები თბილისის 51-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები არიან. მალე ისინი გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებენ და ათასობით თავიანთ თანატოლთა მსგავსად ვინ საით გასწევს და ვინ საით.

ღმერთმა ინებოს, მალე მშვიდობა დამყარდეს და ყველანი სასიკეთო გზას დაადგნენ, ყველამ დაიმკვიდროს თავისი ადგილი საქართველოს მშვიდობიანი ცის ქვეშ. სხვებთან ერთად მათაც აღორძინონ, გააძლიერონ, გაამრავლონ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო.

ბოლო ზარი დაირეკა. წინ დიდი ოცნებების, დიდი იმედების აღსრულებაა.

ესმა ალავიძე.

• • •

სურათზე: უკანასკნელი ზარი თბილისის 51-ე სკოლაში.

ს. კილაძის ფოტო.

ხსოვნა სიკვდილს ამარცხებს

დღეს ერთ იმათგანზე, მინდა მოგითხროთ, ვინც 26 მაისის სათავეებთან იდგა და ვინც თავისი საქმიანობით დღევანდელ მაისს გვაახლოებდა.

გიორგი კორსაველს მაშინაც კი ვერ ჩაუკლეს თავისუფლების გრძნობა და შემართება, როცა თეთრ ცხენზე ამხედრებული „ქართველი ხალხის შვილი" თავად შემოუძღვა დამპყრობლებს და ფეხქვეშ გაათელინა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. სადაც კი მოღვაწეობდა, ცხადად თუ ფარულად ნიადაგ ცდილობდა ახალგაზრდებში ამ გრძნობის გაღვივებას.

• • •

— კორსაველის დროს ამას ვინ გაბედავდა.

— კორსაველის სკოლა სანიმუშო იყო.

გახსოვთ, გოგლა ხშირად იმეორებდა: — მასწავლებლობა დიდი შრომაა, შეუნელებელი და დიდი შრომა.

და ასე დაუსრულებლად, დღე ისე არ გაივლიდა ჩვენს ოჯახში, ეს კაცი არ ეხსენებინათ. ასე იყო თითქმის ყველა ყვარლელის ოჯახში.

ყვარელი მისი ახალგაზრდობის ასპარეზი იყო. პედაგოგობას განსაკუთრებული ნიჭი უნდაო, სწორედ რომ პედაგოგად იყო ეს კაცი დაბადებული.

განსაკუთრებული ნიჭიერებითა და პიროვნული თვისებებით გამორჩეული, 1929 წელს თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ თელავის სამშენებლო ტექნიკუმს ედგა სათავეში, შემდეგ ყვარლის განათლების განყოფილებას, საშუალო სკოლას, პედაგოგიურ სასწავლებელს.

თბილისში ჯერ მთაწმინდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, შემდეგ სხვადასხვა სკოლების დირექტორი იყო. სადაც უნდა ეშრომა და ელვაწა ბატონ გიორგის, ყველგან დამკვიდრებული პროფესიონალიზმის და მაღალი ზნეობის მაგალითს აძლევდა საზოგადოებას, ნიადაგ ნათელ კვალს ტოვებდა მოწაფეთა და კოლეგების შეგნებაში.

როდესაც მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეცნობი, კიდევ ერთხელ რწმუნდები, თურმე როგორ შეიძლება ერთდროულად იყო სანიმუშო პედაგოგი და სამაგალითო აღმზრდელიც. ამაზე მეტყველებს ოსტატის მიმართ უსაზღვრო სიყვარულითა და მადლიერებით აღსავსე ის უამრავი ბარათი და მოგონებები, რომლებიც მის შეგირდებს ეკუთვნით.

„დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულება. ერთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს გაადამიანებაზე, ვიდრე სამისა და ოთხი წლის ზეპირება გრამატიკისა და სხვა რისამე ამისთანასა".

ილიას ამ სიტყვებით მოძღვრავდა ხოლმე ახალგაზრდა პედაგოგებს.

ბატონი გიორგი 28 წლის განმავლობაში თბილისის საშუალო სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების, განათლების განყოფილების სასკოლო მუშაობის მეთოდისტების მუდმივმოქმედი თეორიულ-პრაქტიკული სემინარის უცვლელი თავმჯდომარე იყო.

— სხვისაგან რომ მოითხოვე — ეს ასე გააკეთე, ის — ისეო, უწინარეს ყოვლისა, თავად უნდა შეეძლოს ამ მოთხოვნის შესრულება. ამისათვის იურიდიული საფუძველიც უნდა გქონდეს და რაღა თქმა უნდა, მორალურიც. სკოლის დირექტორს ეს ყველაფერი აქვს, მაგრამ სულ სხვა, უფრო რთული საქმეა მორალური საფუძვლის შექმნა და განმტკიცება. ეს უკვე თვით ხელმძღვანელობაზე, მის ცოდნა-განათლებაზე, ორგანიზატორულ უნარზე, პედაგოგიურ კულტურასა და ზნეობრივ მხარეზეა დამოკიდებული", — რამდენს ახსოვს მისი ეს დარიგება.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დღესაც სიამოვნებით იხსენებენ ბატონ გიორგის, რომელსაც სანამ ჯანმრთელობა ხელს უწყობდა, დღე ისე არ დაღამდებოდა, იქ არ შეევლო. მას იქ საკუთარი ადგილი ჰქონდა. თუ კი ვინმე შემთხვევით დაიკავებდა, მის შემოსვლაზე მაშინვე ფეხზე წამოდგებოდა. ყველამ იცოდა, რომ ეს კორსაველის ადგილი იყო.

ვიცოდი, 30-იან წლებში ბატონი გიორგი იყო ერთი პირველთაგანი, ვინც ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძის ნაფუძვარს ყვარელში და დაიცვა ილიას სახლის დასალუპად განწირული წიგნები, ხელნაწერები, სამუზეუმო ექსპონატები დაკარგვა-განადგურებისაგან, მოუარა და შემოუნახა მომავალ თაობას.

მის მაგიდაზე მოგონებებს წავაწყდი. აი, რას წერდა ბატონი გიორგი:

„დღეს ილია ერის მამის, დიდების გვირგვინით არის შემკობილი, მაგრამ ამას ვერავინ გაბედავდა ამ 50 წლის, და ვერც 20 ან 15 წლის წინ. მაშინ ილიას აჯ მებატონედ აცხადებდნენ, რომელიც წყალს არ აძლევდა გლეხებს და სხვა და სხვა, რაც თქვენ ჩემზე კარგად იცით, ეს აზრი იყო გაბატონებული დიდ ილიაზე, როდესაც ქალაქ თელავში გაიხსნა რესპუბლიკური პარტსკოლა (1930 წ.), სადაც მიიღებოდნენ მხოლოდ პარტიის წევრები და სტაჟიანი კომკავშირელები.

მე მიმიწვიეს ქართული ლიტერატურის ლექტორად. ყველაფერი ბრწყინვალედ ვითარდებოდა, მაგრამ, როგორც კი შევხე ილია ჭავჭავაძის და ლელთ ღუნიას სიტყვებს — „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეუფლნოდესაო" და მივეცი ამ სიტყვებს ეროვნული თავისუფლების ხასიათი და შინაარსი, წამოხტა პარტკომი ზ. ჩიტრეკაშვილი და მოგვაძახა: თქვენ კონტრრევოლუციურ აზრებს ატარებთ, ილია გლეხობის მტერია, ექსპლუატატორი, ასე ლაპარაკობენ ყველანი, რაღა თქვენთვის გახდა იგი დიდი მოაზროვნე, მხატვარი, პატრიოტი „საქართველოს მამა". ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხიე... გაიმართა დიდი ბრძოლა, მე ჩემი პოზიცია არ დამითმია.

ორი თუ სამი წლის შემდეგ გადამიყვანეს თელავიდან ყვარელში, ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. მე აღმოვჩნდი ილია ჭავჭავაძის სამშობლოში. მაშინვე ვინახულე ილიას დედმამისეული სახლი. არ მინდა დაგიმძიმოთ გრძნობები და აგიწეროთ ის საზიზღარი სურათი, როგორსაც ეს სახლი წარმოადგენდა... თავბრუ დამესხა, მაგრამ, დავტრიალდი: ყვარელში მაშინ საშუალო სკოლა არ იყო. მე გავხსენი იგი და ილია ჭავჭავაძის სახელობისად გამოვაცხადე. გავწმინდე ილიას მამისეული სახლი, გავზიდეთ სამი საბარგო მანქანა ნაგავი. მეორე დღესვე გამომიძახა პარტრაიკომის კულტპროფმა.

— კაცო, გოგლა (მე შინაურობაში გოგლას მეძახიან), არის ხმები, რომ განათლების განყოფილება ვერ უვლის სკოლებს და შენ, გამგე, თავის ადგილზე არა ხარ.

— ამიხსენით, რაშია საქმე?

— აი, კაცი, — მიჩვენებს თ. ლობჟანიძეზე, — გუშინ იყო შილდის სკოლაში, დაათვალიერა ბიბლიოთეკაც და ნახა, რომ კარადებში გადმოდგმულია ილია ჭავჭავაძის ტომები, ეს კონტრრევოლუციური პროპაგანდაა, სად არის განათლების განყოფილება?"

ამ ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოვიდა კორსაველი. დამეთანხმებით, მაშინ ეს გმირობის ტოლფასი იყო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამისთვის ღირს მისი დაფასება. ვფიქრობ, დადგა დრო, რომელიმე სკოლას ყვარელში მისი სახელი ეწოდოს, ილიას მუზეუმს კი სხვა ყვარლელ გამოჩენილ ადამიანებთან ერთად აუცილებლად მისი სურათიც უნდა ამშვენებდეს. ამას ნამდვილად იმსახურებს ის სულმნათი კაცი.

ამ სამი წლის წინ, როდესაც კვლავ ვიზეიმეთ 26 მაისი, ბატონმა გიორგიმ შვილიშვილებს უთხრა:

— მე ველარ მოვესწრები, მაგრამ მჯერა, თქვენ უკვე იცხოვრებთ ნამდვილად თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში, თან გაიხსენა, კლასელებს როგორ მიუძღვოდა წინ ლოზუნგით: გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს! და როგორ მოუხვიეს ხელი და სხვებთან ერთად ერთი დღე და ღამე ზარდაფში როგორ აყურყუტეს.

თქვენ აღარავინ დაგსჯით ამ ერთი სურვილის გამოო. — სიამოვნებით დააყოლა და სათუთად მოესიყვარულა რუსუდანს და ლალის.

ბატონი გიორგი შარშან გარდაიცვალა. სანიმუშო ოჯახი დარჩა. მის ტრადიციებს აგრძელებს მეუღლე ქალბატონი ქსენია და ვაჟიშვილი ზაზა. ცოცხლობენ მისი ნამოწაფრები, რომლებიც კვლავ ძველებურად იხსენიებენ საყვარელ მასწავლებელს. ხსოვნა ხომ სიკვდილსაც ამარცხებს.

მარადი ანასაშვილი.

კულტურიზმი

ქართველი კულტურისტები მრავალი პრობლემის მიუხედავად განაგრძობენ ინტენსიურ ვარჯიშსა და სხვადასხვა რანგის ტურნირებში მონაწილეობას. ამასწინათ თბილისის ოფიცერთა (ყოფილი პროფკავშირების) სასახლეში გამართული მესამე ეროვნული ჩემპიონატის შესახებ გვესაუბრება რესპუბლიკის ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ქვეყნის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე დავთიანი:

— ასპარეზობა, რომელიც ათლეტიზმის ფედერაციამ (პრეზიდენტი — რობერტ ურჯუმელაშვილი) მოაწყო, პირადი ხასიათისა გახლდათ და მასში გამოვიდა დედაქალაქისა და რუსთავის 26 სპორტსმენი. ობიექტური, ყველასათვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო, შეჯიბრებაზე ჩამოსვლა ვერ მოახერხეს სოხუმელმა და ბათუმელმა ათლეტებმა. დასახელებული ტურნირი, რომელიც წინა წლებთან შედარებით უკეთესი ორგანიზაციითა და კულტურისტთა მომზადების მაღალი დონით გამოირჩეოდა, იმითაც არის აღსანიშნავი, რომ სწორედ აქ შედგა რამდენიმე ახალი კლუბის წარმომადგენელთა დებიუტი. ჩემპიონატი დაამშვენა 53 წლის ენრიკო კოპლატაძის (80 კგ) უბერებელმა ოსტატობამ — ვეტერანი კვლავ მწყობრშია და ტოლს არ უდებს მასზე გაცილებით ახალგაზრდა მეტოქეებს. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ოფიცერთა სასახლის დირექციას, რომელმაც ცალკეული წინააღმდეგობების მიუხედავად, შეძლო ჩვენთვის დაეთმო სარბიელი. ახლა კი გავეცნოთ კულტურისტთა მესამე ეროვნული პირველობის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს: 65 კგ — არჩილ იანვარაშვილი („ათლეტ-სერვისი"), ვანო ზაალიშვილი („ეტალონი"), კოტე ჯიშიაშვილი (რუსთავი) 70 კგ — გია ბასიაშვილი (რუსთავი), გაგიკ გრიგორიანი („ეტალონი"), დათო გამრეკელაშვილი (რუსთავი). 80 კგ — ზურაბ ნებიერიძე („ეტალონი"), არამ შახვერდიანი („ჰერკულესი"), მამუკა ხულელიძე (რუსთავი). 90 კგ — გოჩა ქუშაშვილი („ათლეტ-სერვისი"), გოგი დადიანი („ეტალონი"), ვეფხვია აფციაური („ჰერკულესი"). ჩემპიონებს და პრიზიორებს ჯილდოებად გადაეცათ შესაბამისად 15 000, 12 000 და 10 000 მანეთი.

გათამაშება დაგვირგვინა წონით კატეგორიებში უძლიერესთა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად შემდგარმა ორთაბრძოლებმა. ოთხთა დავაში კიდევ ერთხელ იყოჩაღა და საპატიო ტიტული მოიპოვა ზურაბ ნებიერიძემ (მწვრთნელები — ზურაბ აბაშიძე და ალექსანდრე დავთიანი). მან დამატებით ჯილდოდ 7 000 მანეთი მიიღო.

ზემოთ მოყვანილი საპრიზო თანხების რაოდენობა ნათლად მეტყველებს იმ ფინანსურ გაჭირვებაზე, რომელსაც განიცდის ქართული კულტურიზმი. ამიტომ, ეს უკვე მერამდენედ, თხოვნით მივმართავთ შესაძლო სპონსორებს — დაეხმარეთ სხეულის გამკეთილშობილებელი სპორტის მიმდევრებს.

ჩოგნი

ფეხბურთი

წერტილი დაესვა ფეხბურთის ისტორიაში არსებულ ერთ-ერთ დიდ უსამართლობას. საფრანგეთის — ტყავის ბურთის მრავალი დიდოსტატის სამშობლოს — გუნდი პირველად დაეუფლა კონტინენტის პრესტიჟულ საკლუბო პრიზს.

ეს მოხდა 26 მაისს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში მარსელის „ოლიმპიკმა" მძაფრ ბრძოლაში ფარ-ხმალი დააყრევინა ფავორიტს — იტალიის „მილანს" — 1:0. მატჩისა და ამასთანავე, პოპულარული ჯილდოს ბედი პირველი ტაიმის მიწურულს გადაწყდა, როცა აბედი პელეს მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ბაზილ ბოლიმ ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა იტალიელთა კარის დაბალ კუთხეში.

განცხადება

1993 წლის 29 მაისს შაბათს 10 საათზე საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოება „ცეკავშირის" ადმინისტრაციულ შენობის სააქტო დარბაზში (თავისუფლების მოედანი 7) გაიმართება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა **„მამული, ენა, სარწმუნოება"** პროგრესული ძალების დამფუძნებელი ყრილობა.

დღის წესრიგი

1. წესდების პროექტის განხილვა და მიღება
2. მმართველობითი ორგანოს არჩევნები

გთხოვთ საქართველოში არსებულ პროგრესულ ძალებს, უპარტიოებს: ეკონომისტებს, იურისტებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, ინჟინრებს, კომერსანტებს, ბიზნესმენებს, მედიცინისა და უცხო ენების სპეციალისტებს, მუშებს, გლეხებს და ყველას, ვისაც მამულისათვის, საქართველოსათვის შესტკივა გული, მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაში.

„მესა" პროგრესული ძალების დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფი.

თუ გსურთ გზა გაიკვლიოთ ბიზნესის სამყაროში და არ ჩამორჩეთ დროის მოთხოვნებს, მიმართეთ საკონსულტაციო-საინფორმაციო ფირმა „კოლხა-კონსულტ"-ს

ფირმა გთავაზობთ:

— ნებისმიერი ტიპის მცირე საწარმოს, ფირმის, ამხანაგობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოთა სადამფუძნებლო დოკუმენტების სრული პაკეტის შექმნას სამუშაოები სრულდება 24 საათის განმავლობაში);

— სახელმწიფო საწარმოების აქციონირების შესაძლებლობის შესწავლას და სათანადო სადამფუძნებლო დოკუმენტების შექმნას;

— ფართო პროფილის ეკონომიკურ კონსულტაციებს.

ჩვენი მისამართია: 380007, თბილისი, ლერმონტოვის ქ. №18 (თავისუფლების მოედანთან), მე-4 სართული 11-დან 17 საათამდე).

ტელ: 99-02-76 (11 საათიდან 17 საათამდე).

მსოფლიოში ყველაზე იაფად!

თუ გსურთ ეწვიოთ ლეგენდარულ კუნძულებს ეგეოსის ზღვაზე, მეგობრებთან ოჯახთან, საყვარელ ადამიანთან ერთად, დაისვენოთ სალონიკების მახლობლად, ზღვის სანაპიროზე განლაგებულ კომფორტაბელურ კოტეჯებში, სრულიად შეიგრძნოთ

ზღვის, მზისა და სიყვარულის სიმშვენიერე.

და ეს ყველაფერი თითქმის უფასოდ, სულ რაღაც 150 დოლარად და 80 000 კუპონად.
იჩქარეთ ეწვიოთ საქართველოს ახალგაზრდობის ფონდ «მამულის» ტურისტულ ბიუროს.
ტურები მოეწყობა ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით.
ვისაც სურს უკვე ივნისის თვეში ეწვიოს მშვენიერ საბერძნეთს, უნდა მოგვმართოს 10 მაისამდე.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული",
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 76-ბ,
ტელ: 30-22-39, 30-22-54.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მინისტრის მოადგილეს ანზორ ბურჯანაძეს დის **ციცო ვიქტორის ასული ბურჯანაძე-ნემსიწვერიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 26 მაისის ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მესამე ტირაჟის ოფიციალურ ცხრილში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ: სერია 05829 № 016 მოგება 25000 მანეთის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს 250000 მანეთი.

ა/წ 20 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „მიწისძვრები საქართველოში" გაიპარა რამდენიმე უზუსტობა. კერძოდ: მესამე სვეტის მეორე სტრიქონის ბოლოს ნაცვლად (6,9, 9-10 ბალი) უნდა იყოს (9-10 ბალი). მეოთხე სვეტის II აბზაცის მე-8 სტრიქონში ზედმეტია სიტყვა „რიხტერის შკალით". ამავე სვეტის III აბზაცის მე-15 სვეტში 29 მაისის ნაცვლად უნდა იყოს 29 იანვარი, ხოლო ბოლო აბზაცის მე-6 სტრიქონში ნაცვლად 9,10-ისა უნდა იყოს 9-10.

დაწვრილებით

დასანანი მარცხი

ფეხბურთის მოყვარულთათვის უკვე ცნობილია საქართველოს კლუბებისა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების აზერბაიჯანული ვიზიტის შედეგები. გთავაზობთ განჯაში გამართული მატჩის პერიპეტიებს.

მატჩის დამთავრების შემდეგ აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები სიხარულს ვერ მალავდნენ, ქართველები კი...

დიახ, 25 მაისს ქალაქ განჯაში (ყოფილი კიროვაბადი) აზერბაიჯანის ეროვნულმა ნაკრებმა შესძლო მინიმალური ანგარიშით დაემარცხებინა საქართველოს კლუბების ნაკრები, მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც — ქართველმა ფეხბურთელებმა იმდენი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, რომ რამდენიმე მატჩს ეყოფოდა, თუმცა, ჯობია, მივყვეთ თანმიმდევრულად.

მეტოქეებისთვის ეს შეხვედრა მეორე იყო ერთმანეთთან (პირველში შარშან შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით — 6-3 დამარცხა მეტოქე) და მასპინძლები მატჩის წინ არც მალავდნენ თავიანთ სერიოზულ განზრახვებს. შემადგენლობაც სოლიდური ჰყავდათ — მათ რიგებში დღესდღეობით მოქმედი ყველა უძლიერესი აზერბაიჯანელი ფეხბურთელი გამოდიოდა ვალი კასუმოვის გარდა, რომელიც ამჟამად ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს „რეალ-ბეტისის" შემადგენლობაში. აი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე კი საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე იდგა.

უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს რომ თავი დავანებოთ, განჯაში არც თბილისის „დინამოს" მოთამაშეებიც იყვნენ, რომლებსაც მეორე დღეს თასის ფინალურ მატჩში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დინამოელები საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები უშუალოდ განჯაში გამგზავრების წინ შეიკრიბნენ და შეთამაშებისათვის დროც ნაკლები აღმოჩნდა და მაინც, მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი ობიექტური მიზეზებისა, ვთვლი, რომ საბოლოო ჯამში საქართველოს ნაკრებს უნდა დაემარცხებინა თავისი მეტოქე. ვერც კლასით, ვერც ინდივიდუალური და ფიზიკური მომზადებით, მასპინძლები ვერ სჯობდნენ ქართველ ფეხბურთელებს, მაგრამ მოხდა ისე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ფეხბურთში — ერთ-ერთი იშვიათი შეტევის დროს მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი უხერხულად მოიგერია ჩვენმა მცველმა და ეს ბურთი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებს თავისი პირველი გამარჯვება მოეპოვებინა. ეს გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა, მაგრამ იქამდეც და გოლის შემდეგაც დავით ყიზილაშვილს, გიორგი ნემსაძეს და კახა გოგიჩაიშვილს არაერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მასპინძელთა შესანიშნავად მოთამაშე მეკარე ესხან გასანოვის კარში ბურთი არა და არ შედიოდა. კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება ფატალურ უიღბლობას დავაბრალოთ, მაგრამ ამდენი მომენტის გამოუყენებლობა ნამდვილად არ ეკადრება გუნდს, რომელიც ასე თავით მაღლა დგას მეტოქეზე. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შეხვედრის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რუსტამ რაგიმოვი ერთობ მიკერძოებულად (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში) სჯიდა მატჩს, ბოლოს კი პენალტიც არ დანიშნა მასპინძელთა კარში, როცა მცველებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს დავით ყიზილაშვილი. საუკეთესო კი საქართველოს ნაკრებში კახა გოგიჩაიშვილი იყო, რომელმაც მთელი მარჯვენა ფლანგი „მიითვისა" და ორი ტაიმი „თავის ჯამოზე" აწვალა მეტოქეთა მცველები. ასეა თუ ისე, ჩვენმა ნაკრებმა მეტად დასანანი მარცხი განიცადა არცთუ ძლიერ მეტოქესთან, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ოპტიმალური შემადგენლობით ქართველ ფეხბურთელებს არანაირი პრობლემა არ ექნებოდათ.

საქართველოს კლუბების ნაკრებმა ამ მატჩში შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა: **დევაძე (ჯანელიძე), ფირცხალავა, სიდამონიძე, ლობჟანიძე, გ. ჯიშკარიანი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ხუციშვილი (გაბესკირია), ბიგვავა, დარასელია, ყიზილაშვილი.**

იმ დღის კიდევ ერთი არასასიამოვნო წუთები გველოდა განჯაში მყოფთ — ერთმანეთის პირისპირ დადგნენ 16 წლამდე ჭაბუკთა ნაკრებები — აზერბაიჯანისა და საქართველოსი. ჩვენი ნაკრებისთვის, რომელიც ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება, ეს შეხვედრა პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო და აქაც ანალოგიური სურათი — რამდენიმე გამოუყენებელი საგოლე მომენტი (გაცუდებული პენალტთან ერთად) და საკუთარ კარში ორი უპასუხო ბურთი. თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ აზერბაიჯანის ჭაბუკთა ნაკრებში 3-4 ისეთი წვერ-ულვაშიანი მოთამაშე გამოდიოდა, რომ მათ ჭაბუკურ ასაკში ნამდვილად ეჭვს შეიტანდა კაცი. ეს, ისე, ჩვენში რომ დარჩეს....

გია ტუსაშვილი
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.
ქ. განჯა

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

◯ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
◯ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა 09434